პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

სამშაბათი
24
ნოემბერი
1936 წ.
№ 272 (4771)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

საბჭოების VIII საგანგებო ყრილობა ხსნის ახალ ბრწყინვალე ფურცელს მთელი პროგრესიული კაცობრიობის ისტორიაში. დიდება სტალინს, კომუნიზმის ხუროთმოძღვარს, სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციის გენიოს შემოქმედს!

მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ყრილობა

სოციალიზმის ქვეყნის მრავალ ბრწყინვალე გამარჯვებათა და ზეიმის მოწმე კრემლის დიდ დარბაზში ხვალ იკრიბება საბჭოების საკავშირო ისტორიული ყრილობა. საბჭოთა კავშირის თავისუფალი, ბედნიერი ხალხი, თავისი რჩეული შვილების — ყრილობის დელეგატების სახით ხვალ კრემლის კედლებში შეხვდება ჩვენი დიადი ქვეყნის და ჩვენი ღვიძლი კომუნისტური პარტიის ბელადებს, შეხვდება სოციალიზმის ეპოქის გენიას — დიდ სტალინს.

ისტორიული ყრილობის უმაღლესი ტრიბუნიდან ხვალ მთელი მსოფლიო გაიგონებს გამარჯვებული სოციალიზმის ვაჟკაცურ ხმას, რომელიც კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ მშრომელ კაცობრიობას კვლავ მედგრად მოუწოდებს მიჰბაძონ საბჭოთა კავშირის იმ ხალხთა გმირულ მაგალითს, რომელთაც ააგეს სოციალისტური საზოგადოება, შექმნეს მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო.

გამარჯვებული სოციალიზმის დიადი ხარტია — ახალი სტალინური კონსტიტუციის პროექტი—წარმოადგენს ამ ყრილობის განხილვის საგანს. ახალი კონსტიტუციის ინიციატორი და სულისჩამდგმელია სოციალიზმის გენიალური ხუროთმოძღვარი დიდი სტალინი, ვინც ლენინთან ერთად იდგა პირველი საბჭოთა კონსტიტუციის აკვანთან. მისი გენიალური სისადავით არის განათებული კონსტიტუციის პროექტის ყოველი პუნქტი, თვითეული სიტყვა, რომელიც ლაპარაკობს სოციალიზმის უდიდეს, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გადამწყვეტ გამარჯვებებზე, მის ძლევამოსილებასა და სიდიადეზე.

ამ კონსტიტუციაში მტკიცედ არის ჩაბეჭდილი ის, რაც მტკიცედ მოპოვებულია ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში. ადამიანთა ისტორიაში პირველად სწორედ სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუცია აღბეჭდავს და ნამდვილად ანიჭებს მოქალაქეებს იმ უფლებებს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა მრავალი თაობის მიუწვდომელი ოცნების საგანს.

თავისი დემოკრატიული ხასიათით, ჰუმანურობით, სიდიადით ახალი სტალინური კონსტიტუცია მთლიანად და სავსებით გამოხატავს სოციალიზმის ქვეყნის ყველა მშრომელის მისწრაფებებს და ისე მაღლა დგას ყველა ძველ და ახალ ბურჟუაზიულ კონსტიტუციებზე, როგორც გამარჯვებული სოციალიზმი დამპალ კაპიტალიზმზე. ამიტომ არის, რომ ახალი სტალინური კონსტიტუციის პროექტში თავისი სურვილებისა და მისწრაფებების ნამდვილად განხორციელებას ჰხედავენ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელები, მთელი კულტურული კაცობრიობა.

საერთაშორისო ფაშიზმის ჯალათური თარეშის ფონზე, გერმანიის, იტალიის, პოლონეთის და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ჩაწიხლული, მიწასთან გასწორებული ფაშისტური ნაჯახის დიქტატურის ფონზე მთელი მოწინავე, პროგრესიული კაცობრიობა კარგად ჰგრძნობს ნამდვილი დემოკრატიის და თავისუფლების სოციალისტური ხარტიის ძალას და ჰხედავს ისტორიულ სიმართლეს, რომლის კაშკაშა მზე სოციალიზმის ქვეყანაში აღმობრწყინდა. ამიტომაც მოიხვეჭა სტალინური კონსტიტუციის პროექტმა უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი და კიდევ ერთი ბასრი მახვილი ჩასცა ფაშიზმს, საერთაშორისო კაპიტალიზმს.

ახალი, სტალინური კონსტიტუცია, რომლითაც რამდენიმე დღეში დაიწყებს ცხოვრებას ჩვენი დიადი სამშობლო, სიამაყის და სიხარულის გრძნობით ავსებს ყოველი საბჭოთა მოქალაქის გულს. საბჭოთა ქვეყნის თვითეული შვილი ამაყობს იმით, რომ იგი ეკუთვნის სოციალიზმის უძლეველ ქვეყანას, რომელიც ურყევად დგას და თანაბრად ფხიზლობს აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც. ყოველი საბჭოთა მშრომელი ბედნიერია, რადგან იმ ქვეყნის შვილია, რომლის უზარმაზარ მიწაწყალზე, ლამაზ მთაგორებსა და ველმინდვრებზე, წარმტაც ტყეებსა და მდინარეებზე, ცის კამარაში და მიწის წიაღში მძლავრად გუგუნებს საბჭოთა პატრიოტიზმის გმირული ჰიმნი:

**Я другой страны такой не знаю,
Где так вольно дышет человек.**

ისტორიისათვის უჩვეულო და გაუგონარია წესი, რომლითაც სტალინური კონსტიტუციის პროექტის მიღება ხდება. პროექტის საყოველთაო - სახალხო განხილვაში, რაც ხუთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასებმა. ეს ფაქტიც, თავისთავად, მოწმობს როგორც სოციალისტური სახელმწიფოს სიმტკიცეს და ძლევამოსილებას, ისე მისი კონსტიტუციის დიდ ცხოველმყოფელობას. ათეულ ათასობით ახალი წინადადებანი, რომელიც განხილვის პერიოდში წამოაყენეს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, ლაპარაკობს მათ უდიდეს სახელმწიფოებრივ აქტივობაზე, მათი შეგნების ზრდაზე და ნამდვილად სახალხო, ჭეშმარიტი დემოკრატიის გაშლა - განვითარებაზე.

მიუხედავად საერთაშორისო ფაშიზმის, შავი რეაქციის ბნელი ძალების კბილთა ღრჭენისა, მიუხედავად მათი პირსისხლიანი აგენტურისა და ჰოკავშირის — კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ქვეწარმავალთა ბინძური, ტერორისტულ-მავნებლური საქმიანობისა, საბჭოთა ქვეყანა სოციალიზმის შეურყეველ, მიუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს და მედგრად მიემართება ლენინ-სტალინის დიადი გზით. ქვეყანაზე არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს სოციალიზმის ამ ძლევამოსილი წინსვლის შეჩერება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1936 წლის 23 ნოემბრის დადგენილება

ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილებისა და თბილისის საორთქლმავლო დეპოს პირველადი პარტორგანიზაციის მიერ „საქ. კ.პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დამახინჯებებზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გაფრთხილებისა და წინააღმდეგ მისი ზუსტი მითითებებისა — ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილებამ და თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტკომმა დაუშვეს უხეში დამახინჯება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა.-წ. 29 სექტემბრის დადგენილებისა „საქ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ“.

ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილებამ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა.-წ. 29 სექტემბრის გადაწყვეტილების განხილვასთან დაკავშირებით ყველა პირველადს პარტორგანიზაციას დაუგზავნა ცნობის ფორმა და მოსთხოვა პარტორგებს წარედგინათ ცნობები პარტიაში მიღებისათვის მომზადებულ პარტიის წევრობის კანდიდატთა, თანამგრძნობთა და კომკავშირელთა შესახებ; ამით გზა მისცა პირველადს პარტორგანიზაციებს კამპანიურობისა და პარტიაში ხელაღებით მიღების გზისაკენ, რომელიც დაგმობილია პარტიის მიერ.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტკომმა თავისი 1936 წ. 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით პარტაქტივის რიცხვიდან გამოჰყო 16 კაცი იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად მომზადებულნი იყვნენ პარტიის კანდიდატები პარტიის წევრებად გადაყვანისათვის და რამდენად მომზადებულნი იყვნენ თანამგრძნობნი პარტიის კანდიდატებად მიღებისათვის, ხოლო თანამგრძნობთა სპეციალურ თათბირზე, რომელიც მოწვეულ იქნა ა.-წ. 11 ოქტომბერს, ფაქტიურად წინასწარ გადასწყვიტა პარტიის კანდიდატებად 15 თანამგრძნობის განურჩევლად მიღება.

ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილება მას შემდეგაც კი, რაც გამოქვეყნდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება „ზოგიერთი ადგილობრივი პარტორგანიზაციის მიერ საქ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დამახინჯებებზე“, არ გამოეხმაურა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების უხეშად დამახინჯებას თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილებისა და თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტკომის მიერ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურო **ადგენს:**

1. გაუქმდეს ა.-კ. რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების 1936 წ. 9 ოქტომბრის წერილი პარტიაში მიღებისათვის პარტორგანიზაციის მზადყოფნის შესახებ და თბილისის დეპოს პარტკომის 1936 წ. 7 ოქტომბრის დადგენილება, ვინაიდან ეს წერილი და დადგენილება უხეშად ამახინჯებენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებას პარტიაში მიღების განახლების შესახებ, და წინადადება მიეცეს ა.-კ. რკ. გზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსს ამხ. **კიზირიას** და თბილისის დეპოს პარტკომის მდივანს ამხ. **ჯლანტიაშვილს** დაუყოვნებლივ გამოასწორონ მათ მიერ დაშვებული შეცდომები და უზრუნველჰყონ სასტიკად დაცვა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. 29 სექტემბრის გადაწყვეტილებისა „საქ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ“ და 1936 წ. 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა „ზოგიერთი ადგილობრივი პარტორგანიზაციის მიერ საქ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დამახინჯებებზე“.

2. დაევალოს ა.-კ. რკ. გზის პოლიტგანყოფილებას შეამოწმოს თბილისის რკინიგზის კვანძის პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობა და დაუყოვნებლივ აღკვეთოს ყოველგვარი ცდები საქ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების უმნიშვნელოვანესი საქმის გადაქცევისა მორიგ კამპანიად და საპარადო ზმაურად.

მდგომარეობა ესპანეთში

ვაიოს განცხადება

ლონდონი, 22 ნოემბერი (საქდესი). „სენდეი ექსპრესის“ წარმომადგენელი გუშინ საღამოს ტელეფონით ესაუბრა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვაიოს. თხოვნაზე შეეტყობინებინა ფრონტების მდგომარეობა, ვაიომ უპასუხა:

„დღეს მთავრობის ჯარებმა განდევნეს მოწინააღმდეგე უნივერსიტეტის უბნიდან, რომელიც მადრიდის გარეთ მდებარეობს და დედაქალაქისაგან იზოლირებულია. სხვა უბნებზე მნიშვნელოვანი ბრძოლები არ ყოფილა. გვადარამა თოვლით არის დაფარული. ცუდი ამინდი მადრიდის რაიონშიაც აძნელებს ოპერაციებს. დღეს მადრიდის ბომბადირება არ მომხდარა და არც ბრძოლები ყოფილა. მადრიდის თავდაცვის კომიტეტი ღებულობს ზომებს, რათა გაიყვანოს ქალაქიდან ქალები, ბავშვები და მოხუცები. ჩვენ გვინდა ყოველგვარი შესაძლო საშუალებით ვიხსნათ მხეცურებისაგან სამოქალაქო მოსახლეობა და ხელი შევუშალოთ მეამბოხეებს განაგრძონ ქალებისა და ბავშვების ხოცვა. ხალხის მორალური მდგომარეობა საუცხოოა. ხალხი ნებას არ მისცემს მტერს შემოვიდეს მადრიდში. იგი გზას გადაუღობავს მას. რაც შეეხება მადრიდის სასურსათო მომარაგებას, არის ზოგიერთი პროდუქტები, რომელთა მოტანა აღმოსავლეთის პროვინციებიდან წინანდებურად აღარ შეიძლება. მადრიდი ტანჯვას განიცდის ომისაგან და ომიანობის რეჟიმისაგან. მაგრამ მადრიდის მოსახლეობა არ შიმშილობს და არც იშიმშილებს. თუ მომარაგებაში დეფექტები გვაქვს ეს ხდება არა სურსათის ნაკლებობით, არამედ განაწილების დეზორგანიზაციით, რაც ომით არის გამოწვეული. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კატალონიის აღმოსავლეთი რაიონები — ესპანეთის უმდიდრესი რაიონებია და, რამდენადაც მადრიდს დღემდი მათთან კავშირი აქვს, იგი არ განიცდის საარსებო სასურსათო პროდუქტების ნაკლებობას. კატალონიის ხალხი მთელი ენერგიით ეხმარება მადრიდს. რაც შეეხება მეამბოხეთა მუქარას, რომ ისინი ჯუმბარებს დაუშენენ ბარსელონას და მოახდენენ მის ბლოკადას, ესპანეთის მთავრობას ამჟამად შეუძლია სთქვას მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ იგი უდიდესი ნდობით ეკიდება კატალონიის ხალხს, რომელიც მზად არის დაირაზმოს თავისი ტერიტორიის დასაცავად, ისევე როგორც მადრიდის ხალხი იქცევა“.

ვაიომ მადლობა გამოსთქვა ინგლისის სანიტარული რაზმების მუშაობის გამო, აგრეთვე განაცხადა, რომ ესპანეთის მთავრობა მადლობელია ინგლისის პარლამენტის წევრთა კომისიის ჩამოსვლისათვის. ვაიოს სიტყვით, მთავრობა იწვევს ყველას, ვისაც სურს თავისი საკუთარი თვალით ნახოს, თუ რა ხდება ესპანეთში, და ყოველნაირად ხელს შეუწყობს მათ“. ესპანეთის მთავრობას, — დაასკვნა ვაიომ, — მხოლოდ ის სურს, რომ სიმართლე ყველამ შეიტყოს“.

რომენ როლანის პროტესტი ფაშისტ მეამბოხეთა მიერ მადრიდის ბომბარდირების წინააღმდეგ

პარიზი, 22 ნოემბერი (საქდესი). „ლუმანიტე“ აქვეყნებს რომენ როლანის პროტესტს ესპანეთის ფაშისტ მეამბოხეთა მიერ მადრიდის ბომბარდირების წინააღმდეგ, ქალთა და ბავშვთა დახოცვის, ჰოსპიტალებისა და ხელოვნების ძეგლების მოსპობის წინააღმდეგ. რომენ როლანი სამარცხვინო ბოძზე აკრავს გენერალ ფრანკოს, რომელიც გერმანიისა და იტალიის მიერ მისი ცნობის სანაცვლოდ აძლევს მათ ესპანეთის დოვლათსა და სტრატეგიულ პუნქტებს.

რომენ როლანი მოუწოდებს ევროპისა და ამერიკის ხალხებს დაეხმარონ ესპანეთის ქალებსა და ბავშვებს — ესპანელ ფაშისტების უდანაშაულო მსხვერპლთ.

დურუტის დაკრძალვა

ბარსელონა, 22 ნოემბერი (საქდესი). როგორც ფაბრის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს მოხდა ცნობილი ანარქისტი მოღვაწის, მადრიდის განაპირა უბანში მოკლული დურუტის დაკრძალვა. დამკრძალავ კორტეჟს მიუძღოდნენ კატალონიის მეთაური კომპანისი, მინისტრები — ოლივერ გარსია, აიგუადე და პეირო, ძრიევილნი — ტარადელიასი და სანდინი და დურუტის ნათესავები. დაკრძალვაში მონაწილეობა მიიღო ყველა ანტიფაშისტურმა ორგანიზაციამ. მთელი კატალონიიდან ჩამოვიდნენ მუშათა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა დელეგაციები. დაკრძალვაში 400 ათასი კაცი მონაწილეობდა. კუბო მიჰქონდათ დურუტის კოლონის რაზმელებს. პროცესიას ჯარები იცავდნენ. იუსტიციის მინისტრმა და დურუტის ახლო მეგობარმა ოლივერ გარსიამ დაასურათა განსვენებულის გმირული ცხოვრება. ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა კატალონიის მეთაურმა კომპანისმა. დაკრძალვაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. ანტონოვ-ოვსეენკომ.

◇ ○ ◇

ესპანეთის მთავრობის დეკლარაცია

ვალენსია, 22 ნოემბერი (საქდესი). როგორც ფაბრის სააგენტო იუწყება, მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, სადაც ნათქვამია, რომ იმ დახმარებას, რომელსაც მეამბოხეებს სამხედრო ამბოხების დასაწყისიდან უწევდნენ, ახლა აშკარად უწევენ.

ახლა მეამბოხე ფრანკო უკვე ოფიციალურად ცნობილია ბერლინსა და რომის მიერ. დემოკრატიული ქვეყნების მთავრობათა სულმოკლე პოზიციის დროს, ფაშიზმისა და ომის ძალები თავხედურად გამოდიან, რათა დაამყარონ ფაშისტურ სახელმწიფოთა ბატონობა დასავლეთ ევროპაში. მაგრამ ამავე დროს გიგანტურად იზრდება ესპანეთის, როგორც დემოკრატიის დასაყრდენის, ისტორიული როლი.

ოთხი თვის ბრძოლის შემდეგ, აღნიშნულია შემდეგ დეკლარაციაში, რესპუბლიკურმა ესპანეთმა თავი დააღწია იმპროვიზაციის პერიოდს. მისი რაზმები დღითიდღე ხდებიან რეგულარულ არმიად ხალხის სამსახურში. იზრდება სამხედრო წარმოება და განუწყვეტლივ მატულობს ამ წარმოების შესაძლებლობანი. რესპუბლიკურ ესპანეთს მოეპოვება ტანკები და თვითმფრინავები. თავისი შემადგენელი ნაწილების დარაზმულობისა და ცენტრალურ მთავრობასა, კატალონიის მთავრობასა და ბასკების ქვეყნის დროებითს მთავრობას შორის ღრმა ურთიერთგაგების წყალობით, დღევანდელი ესპანეთი არის ერთი ბედის მქონე განუყოფელი ესპანეთი. ამას ამტკიცებს კატალონიის ჯარების გაგზავნა მადრიდის ფრონტზე. ამჟამად ესპანეთი საკმაოდ ძლიერად გრძნობს თავს, რომ საკუთარი ძალებით მოიპოვოს გამარჯვება. გარდა ამისა, მის მხარეზეა საერთაშორისო ანტიფაშისტური ფრონტი. მას შეუძლია იქონიოს საბჭოთა კავშირისა და მექსიკის, აგრეთვე მსოფლიოს დემოკრატიულ ხალხთა უმრავლესობის მხარდაჭერის იმედი.

მას შეუძლია იქონიოს ყველა იმათი იმედი, ვინც არ ფიქრობს, რომ მშვიდობიანობას განამტკიცებენ აგრესიისა და ომის ძალები, რომელთა განსახიერებას წარმოადგენს ორი ფაშისტური სახელმწიფო, — შეუძლია იქონიოს ყველა იმათი იმედი, ვინც არ შეურიგდება იმას, რომ ფაშისტურ სახელმწიფოთა საერთაშორისო ტერორიზმი საკუთარ ნებასურვილს თავზე ახვევდეს ევროპას.

ეს რესპუბლიკურ მშრომელ ესპანეთს აკისრებს მოვალეობას გაამართლოს ეს დიადი საყოველთაო ნდობა და გააასკეცოს თავისი საბრძოლო ენერგია.

აუცილებელია, რათა რკინის დისციპლინის ლოზუნგი გახდეს რეალობად, ისეთივე მტკიცე და კომპაქტურ რეალობად, როგორიც თვით რკინაა.

აუცილებელია საყოველთაო მობილიზაცია მთელს ესპანეთში. დაე ნუ იქნება ნურც ერთი კუთხე თავისუფალ ესპანეთში, სადაც არ იგრძნობოდეს ომი, სადაც მასში არ მონაწილეობდნენ. აუცილებელია პროდუქტთა ნორმირების შემოღება, რომელსაც ხანგრძლივი ომი მოითხოვს. დაე ნურავინ დაზოგავს თავის სამუშაო დროს, ნურავინ დაერიდება თავის მსხვერპლს, დაე ყველამ იგრძნოს თავისთავი პასუხისმგებლად იმ ამხანაგების სიცოცხლისათვის, რომელნიც მადრიდისა და სხვა ფრონტებზე თავისუფლებისათვის იბრძვიან. დაე თვითეულმა ესპანელმა შეიგნოს თავისი ძალღონის ტოტალურად დაჭიმვის აუცილებლობა და შეასრულოს მინდობილი საქმე, რათა უზრუნველჰყოს ქვეყნის მომავალი. ერთიანი ნებისყოფა, ერთიანი დისციპლინა — აი გამარჯვების საწინდარი.

დეკლარაციას ხელს აწერს ყველა მინისტრი.

ქალთა და ბავშვთა ევაკუაცია მადრიდიდან

ვალენსია, 23 ნოემბერი. (საქდესი). მადრიდის თავდაცვის კომიტეტმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მოახდინოს მოხუცთა, ქალთა და ბავშვთა ევაკუაცია მადრიდიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსაკენ. თავდაცვის კომიტეტის საევაკუაციო განყოფილებამ გამოსცა განკარგულება, რომელიც განსაზღვრავს ევაკუაციის წესს.

მადრიდის ნაციონალური ბიბლიოთეკის ბომბარდირება

ვალენსია, 23 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ დილით ფაშისტ მეამბოხეთა ავიაციამ მადრიდის ნაციონალური ბიბლიოთეკის შენობის თავზე ჩამოჰყარა 8 ცეცხლწამკიდებელი ჯუმბარა. ჯუმბარებმა გამოიწვიეს **ხანძარი.**


VIII
საბჭოების ყრილობა
ՊՐՈԼԵՏԱՐՆԵՐ ԲՈԼՈՐ ԵՐԿՐՆԵՐԻ ՄԻԱՑԵՔ!
ПРОЛЕТАРЫІ УСІХ КРАІН ЗЛУЧАЙЦЕСЯ!
მარქსი
ენგელსი
ლენინი
სტალინი
BYTYN ELQALƏRIN PROLETARLARЬ BIRLƏŞINIZ!
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРІ ВСІХ КРАЇН ЄДНАЙТЕСЯ!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ისტორიული ყრილობის წინ

(მოსკოვი, ტელეფონით „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

ორი დღეღა დარჩა იმ ისტორიულ წუთამდე, როდესაც დიდი და ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი საბჭოების ყრილობის ტრიბუნაზე ავა და კრემლის დიდი სასახლის დარბაზს ოვაციებისა და სიხარულის გრიგალი შეაზანზარებს.

ყრილობის დელეგატთა რიცხვი მოსკოვში ყოველ საათობით მატულობს. ისინი მოუთმენლად მოელიან ყრილობის გახსნას. დღეს თქვენი კორესპონდენტი ესაუბრა აღმოსავლეთ - ციმბირიდან და ბურიატ-მონღოლეთიდან ჩამოსულ დელეგატებს. ბევრი მათგანი მოსკოვში პირველად არის.

— არ არსებობს საზომი — ამბობენ ისინი, — რომლითაც განიზომებოდეს ჩვენი ბედნიერება. ჩვენ ვნახავთ საყვარელ ბელადს, დიდ სტალინს, გავიგონებთ ხალხთა ბელადის, ახალი კონსტიტუციის შემოქმედის ხმას.

ყველა დელეგატს ხელში აქვს ძვირფასი წიგნი— ცეცხლოვანი სიტყვები მშრომელთა მილიონიანი მასების ახალი დემოკრატიული, ბედნიერი ცხოვრების დიადი ზეიმის შესახებ — ეს არის ახალი, სტალინური კონსტიტუციის პროექტი.

მატარებლები ჩამოდიან მოსკოვში სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. გუშინ ჩამოვიდა 75 დელეგატი. ჩვენი ქვეყნის რჩეულთა ძირითადი მასა დღეს და ხვალ ჩამოვა მოსკოვში. დღეს ყრილობის სამანდატო კომისიაში უკვე დაიწყო „ცხარე დღე“.

საქართველოს დელეგატები დღეს, 23 ნოემბერს, საღამოს ჩამოდიან მოსკოვში № 29 მატარებლით. დელეგაციისათვის გამოყოფილია ბინა ქალაქის ერთერთ საუკეთესო სასტუმროში — ოტელ „ევროპაში“.

სიხარულით, გულმხურვალედ ეგებება მოსკოვი თავის სტუმრებს. დღეს მოსკოვის ვაგზლები სადღესასწაულოდ ირთვება. კურსკის ვაგზალზე მოელიან საქართველოს დელეგაციას, იქვე ჩამოვლენ — დღეს აზოვ-შავი ზღვის მხარისა და ჩრდილო-კავკასიის, ხვალ კი ყირიმის დელეგაციები. პერონზე და ვაგზლის შენობაზე წითელ ტილოებზე ელვარებს მისალმების სიტყვები:

„მხურვალე სალამი საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობის დელეგატებს, ძერჟინსკის რკ. გზ. რკინიგზელთაგან!“. „გაუმარჯოს კოლმეურნეებს და კოლმეურნე ქალებს!“.

ვაგზლის შენობაზე ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის და ორჯონიკიძის დიდი პორტრეტები მოსჩანს. კიევის ვაგზალზე, სადაც უკრაინის დელეგაცია ჩამოდის, გამოკრულია წითელი ლენტი: **„დიდება დიდ სტალინს!“.**

ვაგზალზე სანიმუშოდ არის დაყენებული დელეგატთა მომსახურება. მათ უდიდესი თავაზიანობით ხვდებიან მორიგი რწმუნებულები, მათ ელის ახალი კომფორტაბელური ავტობუსები. საუცხოოდ არის დაყენებული კავშირგაბმულობის სამსახური. მოსკოვის ყველა საფოსტო განყოფილებაში გამოკრულია მითითებები და პლაკატები: „დელეგატთა წერილები და დეპეშები მიიღება რიგს გარეშე“.

უკანასკნელი მზადება მიმდინარეობს რადიოსადგურზე. რადიო კვანძების მთელი მოწყობილობა შემოწმებულია, რადიოგადაცემას ყრილობის შესახებ გაიგონებენ ცივ არქტიკაშიაც და პამირის თოვლიან მწვერვალებს შორისაც. ყრილობის დარბაზში წარმოთქმული თვითეული სიტყვა იმავე დღეს მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხემდე მიაღწევს. სტალინური კონსტიტუციის ოქროს სიტყვები მთელ საბჭოთა კავშირს მოეფინება. ეს სიტყვები გამოიწვევს ცხოველ გამოხმაურებას შორს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. 25 ნოემბრის დღე უდიდესი ისტორიული მოვლენის დღეა მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში.

სტალინური კონსტიტუცია, საბჭოთა ქვეყნის რჩეულთა მიერ მიღებული და მოწონებული, მთელ მსოფლიოს უჩვენებს ახალი საზოგადოების შესანიშნავ სახეს, საზოგადოებისა, რომელმაც შესცვალა კლასობრივი ექსპლოატაციისა და ნაციონალური ჩაგვრის მხეცური ბატონობა.

მანდარინის დამზადების გეგმა შესრულებულია

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს
ამხ. ლ. ბერიას

ცხაკაიას რაიონმა მანდარინის დამზადების წლიური გეგმა 20 ნოემბრისათვის შეასრულა 111 პროცენტით. ნაცვლად 500.000 ცალი საყოფისა ჩაბარებულია 573.472 ცალი. ჩაბარებული მოსავლის 81 პროცენტი პირველი ხარისხისაა, დანარჩენი მეორე ხარისხისა.

წელს რაიონის მშრომელნი მანდარინის მოსავლიდან მიიღებენ 200 ათას მანეთს ანუ 60 პროცენტით მეტს, ვიდრე შარშან.

კოლმეურნენი მანდარინის პლანტაციებიდან საგრძნობ შემოსავალს იღებენ. კოლმეურნე კოსტა ფარულავამ ჩააბარა 35 ათასი ცალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 28 ათასისა და მიიღო 7 ათასი მანეთი, აქსენტი გეგენავამ ჩააბარა 21 ათასი ცალი, ნაცვლად 20 ათასისა. მიიღო 4 ათასი მანეთი და იკისრა ახალი ვალდებულება — დამატებით ჩააბაროს 5 ათასი ცალი. არტემ ჰანტურიამ 22 ათასი ცალის ნაცვლად ჩააბარა 23 ათასი და მიიღო 5 ათასი მანეთი, ვლადიმერ მგალობლიშვილმა კი — 25 ათასი ცალი — მთლად პირველი ხარისხისა, მანვე იკისრა ვალდებულება — დამატებით ჩააბაროს 15 ათასი ცალი მანდარინი.

რაიონი კისრულობს გეგმის ზევით დამატებით დამზადოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 200 ათასი ცალი ხარისხოვანი მანდარინი.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი ი. ბეჟუაია.
რაიაღმასკომის თავმჯდომარე ონ. ოჩიგავა.

ალბულალის რაიონული გაზეთის „საკოლმეურნეო გზის“ მავნე პოლემიკის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის დადგენილება

აღინიშნოს, რომ გაზეთ „კომუნისტის“ (საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ორგანო) რედაქციამ წერილში „პრესის მიმოხილვის მაგიერ“ (1936 წ. 6 ნოემბრის ნომერი) ძირითადად სწორად მიუთითა აღბულაღის გაზეთს, რომ დაუშვებელია მასალის გადაბეჭდვა წყაროს აღუნიშნავად.

იმის ნაცვლად, რომ ცენტრალური ორგანოს მითითება სახელმძღვანელოდ მიეღო, აღბულაღის რაიონული გაზეთის რედაქცია (რედ. ამხ. ა. ჩიქოვანი) დაადგა „კომუნისტის“ რედაქციასთან არაჯანსაღი პოლემიკის გზას და „კომუნისტის“ წერილზე გაზეთის 13 ნოემბრის ნომერში მოათავსა პასუხი, რომელშიც ცენტრალურ ორგანოს დაუშვებელი ფორმით მიმართავს.

ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. გაზეთ „კომუნისტის“, წინააღმდეგ მავნე პოლემიკის საწარმოებლად გაზეთ „საკოლმეურნეო გზის“ გამოყენებისათვის აღბულაღის რაიონული გაზეთის რედაქტორს ამხ. ა. ჩიქოვანს გამოეცხადოს საყვედური გაფრთხილებით.

2. წინადადება მიეცეს აღბულაღის რაიკომს (ამხ. ტოლიძე) რაიკომის ბიუროზე განიხილოს გაზეთ „საკოლმეურნეო გზის“ მუშაობის საკითხი და მიიღოს საჭირო ღონისძიებანი გაზეთის მუშაობის გასაჯანსაღებლად და გასაუმჯობესებლად.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

1936 წ. 22 ნოემბერი.

◇ ◇ ◇

ხილ-ბოსტნეულის დამზადება

ქუთაისის რაიონმა 20 ნოემბრისათვის 115 პროცენტით შეასრულა ხილ-ბოსტნეულის დამზადების გეგმა. დამზადებულია 62.000 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 53.000 ცენტნერისა.

ხილის დამზადება გრძელდება.

**საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის მდივანი—
თ. კორსაველი.**

◇ ◇ ◇

კარტოფილის ჩაბარების გეგმა შესრულებულია

მთავრობის მიერ დაწესებული გეგმა სახელმწიფოსთვის 2217 ტონა კარტოფილის ჩაბარებისა ახალციხის რაიონმა მთლიანად შეასრულა.

საქ. კ.პ. (ბ) ახალციხის რაიკომის მდივანი ზუინალოვი.

კემეროვოს მაღაროში მომქმედი კონტრრევოლუციური ტროცკისტული მავნებლური ჯგუფის პროცესი

სახელმწიფო ბრალმდებლის—სსრ კავშირის პროკურორის მოადგილის ამხ. როგინსკის სიტყვა

21 ნოემბრის საღამოს სხდომა

ნოვოსიბირსკი, 21 ნოემბერი. (საქდესი). სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიის საღამოს სხდომაზე 21 ნოემბერს დაიწყო მხარეთა კამათი. საბრალმდებლო სიტყვას ამბობს სსრ კავშირის პროკურორის მოადგილე ამხ. როგინსკი.

— სამი დღის გამოძიების შედეგად,—ამბობს ამხ. როგინსკი,— ჩვენ მივუახლოვდით კონტრრევოლუციური ტროცკისტული მავნებლური ჯგუფის პროცესის შედეგებს. ჩვენ წინ გადაიშალა შემაძრწუნებელი სურათი ამ ჯგუფის მუშაობისა კემეროვოში, გამომჟღავნებულია მიზნები, მეთოდები და მოქმედება ამ მავნებლური ჯგუფისა, რომლის საშუალებით ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაცია ფაშისტურ აგენტებთან შეკავშირებით თავის ბინძურ საქმეს აკეთებდა. კლასობრივი მტერი სრულიად გაშიშვლებული სახით წარსდგა მართლმსაჯულების წინაშე.

ტერორი, დივერსიები და მავნებლობა,—რომლებსაც მიმართეს თავიანთ გააფთრებული წინააღმდეგობის დროს სოციალისტური მშენებლობის მტრებმა—ძირითადი და ყველაზე ბასრი იარაღია, რასაც მიმართავს ჩვენს სახელმწიფოსთან ბრძოლაში ბურჟუაზია, რომელიც თავის მიზნად ისახავს კაპიტალიზმის რესტავრაციას ჩვენს ქვეყანაში. სწორედ ამით აიხსნება, თუ რატომ აითვისა ბრალდებულთა სკამზე მჯდომმა ხროვამ დივერსია — კონტრრევოლუციის უბასრესი მეთოდი. სწორედ ამით აიხსნება, თუ რატომ ასე სწრაფად მონახეს საერთო ენა პირწავარდნილმა მავნებელმა პეშეხონოვმა და ტროცკისტულმა გადაგვარებულებმა — ნოსკოვმა, შუბინმა, კუროვმა და უცხოეთის ერთი სახელმწიფოს გამოცდილმა მზვერავებმა — შტიკლინგმა, არამონტმა და სხვებმა.

ფაქტებით ჩიხში მომწყვდეულნი ნოსკოვი და შუბინი იძულებულნი იყვნენ ეჩვენებინათ, თუ საიდამდე მივიდნენ ტროცკისტები, რომლებიც ფაშიზმის პირდაპირ აგენტებად გადაიქცნენ.

ნოსკოვი იძულებული იყო აღეარებინა, რომ ისინი ასრულებდნენ უცხოეთის აგენტების დავალებებს.

სასამართლო გამოძიებამ გვიჩვენა, რომ კონტრრევოლუციური ჯგუფი თანამიმდევრობით ატარებდა კონტრრევოლუციური ტროცკისტული არალეგალური ცენტრის გეზს, რომელიც გადაცემულ იქნა არალეგალური ორგანიზაციის ერთერთი ლიდერის დრობნისის საშუალებით. დრობნისი თავისი ჩვენების მიცემისას, იძულებული იყო აღიარებინა, რომ დივერსიული აქტების ორგანიზაცია და მოხდენა ტროცკისტული არალეგალური ცენტრის ახალი პროგრამაა, რომელიც პიატაკოვმა აცნობა დრობნისს. „ბრძოლაში ყველა საშუალება კარგია" და „მიზანი ამართლებს საშუალებებს"—ასეთია ის გეზი, რომელიც დრობნისმა პიატაკოვისაგან მიიღო და ნოსკოვს გადასცა.

აქ სასამართლოში ჩვენება მოგვცა ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაციის მეორე აქტიურმა მომუშავემაც — შესტოვმა. როცა იგი 1931 წელს ბერლინში იყო, მან პიატაკოვისაგან შეიტყო „ახალი კურსები", როგორც თვითონ ამბობს, რომელიც აიღო ტროცკიმ პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ. და ერთერთი ასეთი „კურსია" პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტერთან გაერთიანება.

მაშ რა კურსი აქვს ტროცკისტულ არალეგალურ ორგანიზაციას? დრობნისმა აჩვენა, რომ პიატაკოვმა მისცა მას დავალება თავისი დარტყმა წარემართა ჩვენი მშენებლობის ყველაზე პასუხსაგები უბნებისაკენ — ქვანახშირისა, ლითონისა და ქიმიისაკენ. სწორედ ასეთ უბანს წარმოადგენს კუზბასი. აძლევდა რა ასეთ მითითებას, პიატაკოვმა განაცხადა, რომ ეს არის ტროცკის პირდაპირი დირექტივაო.

ეს პროცესი მჭიდროდ უკავშირდება მოსკოვის პროცესს, წარმოადგენს რა ტროცკისტული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის იმ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ნათელ ილუსტრაციას, რომელიც ყველა მტერთან კავშირში მიმართულია კაპიტალიზმის რესტავრაციისაკენ ჩვენს ქვეყანაში.

შესტოვმა მოგვითხრო, რომ ტროცკისტული გადაგვარებული ნაბოლარები ამზადებდნენ თავდასხმას ხალხთა ბელად ამხანაგ სტალინზე და მის სახელოვან თანამებრძოლებზე. მან მოგვითხრო, როგორ სრულდებოდა ტროცკისტული ცენტრის დავალებანი დასავლეთ - ციმბირის მხარის ტერიტორიებზე, როგორ ნერგავდა იგი ტროცკისტულ ტერორისტულ ჯგუფებს იმ მაღაროებში, სადაც ყოველწუთში შეიძლებოდა გაჩენილიყო ამხ. ეიხე. და რა გაბოროტებით უამბობდა სასამართლოს იმ მარცხებს, რომლებიც ამ ჯგუფებმა განიცადეს.

შესტოვმა მოგვითხრო აგრეთვე, როგორ მზადდებოდა თავდასხმა საბჭოთა მთავრობის მეთაურზე, სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეზე — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვზე.

ეს იყო 1934 წ., როცა იგი დასავლეთ-ციმბირში ჩამოვიდა. მხოლოდ ჩეკისტების დიდმა სიფხიზლემ შეუშალა ხელი ამ ბოროტმოქმედების განხორციელებას.

პროცესმა გვიჩვენა, რომ ტროცკისტი - ტერორისტი - მავნებლები და დივერსანტები თავისი კონტრრევოლუციური ჯგუფის საშუალებით განზრახ შეგნებულად აწყობდნენ მუშათა მკვლელობას, პროვოკაციულად ცდილობდნენ შეერყიათ მუშების ნდობა პროლეტარული სახელმწიფოსადმი.

გადადის რა ტროცკისტული დივერსიული ბრბოს მონაწილეთა დახასიათებაზე, ამხ. როგინსკი ამბობს:

— ჩვენი პროცესის ერთერთი ძირითადი ფიგურაა პეშეხონოვი. იგი დივერსიული მუშაობის ორგანიზატორია, მსხვილი მავნებელი, პროფესიონალი მავნებელი, ბანდიტი — მავნებელი, როგორც ის სტროილოვმა დაახასიათა, საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტერი. პეშეხონოვი დაკავშირებულია ტროცკისტულ დივერსანტებთან და უცხოეთის ერთი სახელმწიფოს—მზვერავთან. პეშეხონოვი ოცნებობდა ძირი გამოეთხარა ქვეყნის თავდაცვაუნარიანობისათვის. პეშეხონოვი ფაშისტია თავისი რწმენითა და თავის მოქმედების მეთოდით.

ლიაშჩენკო. ეს არის ერთერთი აქტიური დივერსანტი, რომელიც უმაგალითო ცინიზმითა და გულდამშვიდებით ანგრევდა სავენტილაციო მეურნეობას, არნახული ცინიზმითა და უტიფრობით ეუბნებოდა მუშებს—ტუფურკებით გაფანტეთ გაზიო.

ანდრეევი. მავნებლური ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი,—პეშეხონოვის ღირსეული მემკვიდრე ამ ორგანიზაციაში, დაკავშირებულია სტროილოვთან. ერთერთი ყველაზე გაქნილი დივერსანტი, ფაშისტი აგენტების—არამონტისა და შტიკლინგის ერთერთი თანაშემწე.

ლეონენკო და კოვალენკო — აქტიური დივერსანტები, დისციპლინირებული კონტრრევოლუციონერები, რომლებიც ფულის გულისთვის ჰყიდიან მუშათა სიცოცხლეს.

ნოსკოვი, შუბინი, კუროვი — ტროცკისტული კონტრრევოლუციური ჯგუფის ორგანიზატორები მაღაროში, ფაშისტ აგენტების — შტიკლინგისა და სხვების აქტიური ხელშემწყობნი, უახლოესი თანაშემწენი დივერსიების განხორციელებაში. ნოსკოვი, შუბინი, კუროვი თავის დივერსიულ აქტებს ახორციელებდნენ დასავლეთ-ციმბირის ტროცკისტული ცენტრის — დრობნისისა და სხვების ხელმძღვანელობით.

შტიკლინგი — ამ ბრბოს უკანასკნელი პერსონაჟია. გამოცდილი მზვერავი, მავნებლობის გამოცდილი ორგანიზატორი, პროფესიონალი მავნებელი საერთაშორისო გამოცდილებით, სპეციალურად ჩამოსული სსრ კავშირში იმისათვის, რომ თავისი სამსახური გამოეყენებინა მავნებლური დივერსიული აქტების მოსახდენად, გესტაპოს ერთერთი აგენტი.

1935 წელს გაფორმებულის სახით არსებობდა ტროცკისტული კონტრრევოლუციური დივერსიული ორგანიზაცია კემეროვოს მაღაროში. ეს ორგანიზაცია შეიქმნა პროლეტარული სახელმწიფოს სამი მტრული ძალისაგან: ტროცკისტული დივერსანტებისაგან, რამდენიმე კონტრრევოლუციონერი ინჟინრისაგან და ფაშისტური აგენტის შტიკლინგისაგან.

ეს გაერთიანება მოხდა ერთ საფუძველზე: კაპიტალიზმის რესტავრაცია და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ამისათვის ხდებოდა აფეთქებანი, შახტების დაზიანება, დასალუპად იგზავნებოდნენ ათობით მაღაროელები.

ნოსკოვმა ძალაუნებურად აღიარა, რომ საბოლოო მიზანი, რომლისთვისაც ტროცკისტები იბრძოდნენ, არის კაპიტალიზმის რესტავრაცია და რომ ეს ჩვენი და ფაშისტების საერთო მიზანიაო. ერთერთმა მოწმემ — დრობნისმა, დიდი ხნის უარობის შემდეგ აღიარა აგრეთვე, რომ ტროცკისტების საკავშირო კონტრრევოლუციური ცენტრი, პიატაკოვის სახით, ეუბნებოდა მას, რომ ტროცკისტების საბოლოო მიზანია კაპიტალიზმის რესტავრაცია და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ამ მიზნისათვის ისინი ამზადებდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანთა მოკვლას, სერგეი მირონის-ძე კიროვის სისხლით, საუკეთესო სტახანოველთა სისხლით შეიღებეს ხელები.

კონტრრევოლუციური მავნებლური ჯგუფი კემეროვოში მთავარ ყურადღებას წარმართავდა შახტის სავენტილაციო მეურნეობის მოშლისაკენ. მათ ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანეს შახტი, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო აფეთქება. ყველანი, ვინც საბრალმდებლო სკამზე ზის, დივერსიებისა და მკვლელობათა შემსრულებლებიც და ორგანიზატორებიც არიან.

მათ წინაშე იდგა არა მარტო ამოცანები ქვანახშირის ამოღების ჩაშლისა, მწყობრიდან შახტის გამოყვანისა და მუშათა მკვლელობისა, არამედ ჩვენი ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის ჩაშლაც საომარი შეტაკების მომენტში.

სახელმწიფო ბრალმდებელი გადადის ბრალდებულ შტიკლინგის წინააღმდეგ წაყენებული მამხილებელი საბუთების ანალიზზე. იგი ამბობს: შტიკლინგს თავისი პოლიტიკური რწმენით შეუძლიან ფაშისტი იყოს. ეს მისი პირადი საქმეა. მაგრამ, ჩამოვიდა რა ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, და შემოგვთავაზა რა თავისი ტექნიკური ცოდნა, იგი სავსებით და მთლიანად საბჭოთა კანონებს უნდა დამორჩილებოდა. შტიკლინგის წინააღმდეგ არა ნაკლებ მამხილებელი საბუთები მოიპოვება, ვიდრე დანარჩენ ბრალდებულთა წინააღმდეგ. მას დანაშაულზე წაუსწრეს, ხელი სტაცეს ბოროტმოქმედების ადგილზე. მას ამხილებენ მთელი რიგ ბრალდებულთა და მოწმეთა პირდაპირი ჩვენებანიც. შტიკლინგს ამხილებს აგრეთვე ჩირქმოუცხებელი მოწმის გორიცკის ჩვენება, აქტები და სხვა მრავალრიცხოვანი დოკუმენტები. დასასრულ, უცილობელი საბუთებითა და ჩვენებებით მხილებულმა შტიკლინგმა თვითონ აღიარა თავისი დანაშაული. იგი ერთიმეორის მიყოლებით ასახელებდა თავისი მავნებლური მუშაობის კონკრეტულ ფაქტებს.

იყო რა შახტ „სევერნაიას" მთავარი ინჟინერი, შტიკლინგმა მოახდინა მავნებლური აქტი კვერშლაგის მიმართ, სწორად არ გაიყვანა შურფი № 2, მავნებლურად დაამონტაჟა კომპრესორი. მაგრამ იგი მავნებლობდა არა მარტო შახტ „სევერნაიაში". იგი აგრეთვე ცდილობდა მოეწყო შახტ „ოქტიაბრიონოკის" ექსპლოატაცია, იცოდა რა წინასწარ ასეთი ღონისძიების ეკონომიური მიზანშეუწონლობა, ცდილობდა მოეწყო ვოლკოვსკის ფენის მავნებლური ექსპლოატაცია. იყო რა გამოგზავნილი საბჭოთა კავშირში ერთერთი სახელმწიფოს ოხრანკის მიერ მავნებლური მიზნით, შტიკლინგმა სტროილოვის დახმარებით კავშირი გააბა პეშეხონოვთან. დაიწყო რა ფაშისტური პროპაგანდით, შტიკლინგმა ადვილად მონახა საერთო ენა პეშეხონოვთან.

შტიკლინგის გამოჩენამ კემეროვოს მაღაროში უფრო აქტიური გახადა პეშეხონოვისა და მისი ჯგუფის მუშაობა, გაადვილა ერთიან კონტრრევოლუციურ ორგანიზაციად ჩამოყალიბება იმ ცალკეული ჯგუფებისა, რომლებიც შემდეგ ტროცკისტებს შეუკავშირდნენ.

პეშეხონოვთან ერთად შტიკლინგმა დაამუშავა კონკრეტული მავნებლური გეგმები შახტ „ცენტრალნაიაში". იგი იყო ერთერთი აქტიური ორგანიზატორი კონტრრევოლუციური მავნებლური მუშაობისა შახტში, და იყო ერთერთი აქტიური ორგანიზატორი მავნებლურ - დივერსიული მუშაობისა და მას უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის.

შემდეგ ამხ. როგინსკი აყენებს კითხვას: ვისი სახელით მოქმედებდა შტიკლინგი? ჩვენ აქ, ამბობს ამხ. როგინსკი, გვაქვს კავშირის ორი ძაფი. ერთ ძაფს მივყევართ გესტაპოსთან, სადაც შტიკლინგი გესტაპოს ერთერთი მოსამსახურისაგან ღებულობდა დავალებებს და აწვდიდა მას ინფორმაციას თავისი მავნებლური მუშაობის შესახებ. მეორე ძაფი შორს არ მიდის—იგი მთავრდება აქვე, ნოვოსიბირსკში.

ათავებს რა თავის სიტყვას, ამხ. როგინსკი ამბობს:

— როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, მე მოვითხოვ, რომ ყველა ბრალდებულს 58-7, 58-9 და 58-11 მუხლების მიხედვით, ხოლო შტიკლინგის მიმართ—58-7 და 58-11 მუხლების მიხედვით—მიესაჯოს დახვრეტა.

სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. როგინსკის სიტყვის შემდეგ გამოვიდნენ ბრალდებულთა დამცველები—ამხ. ბიალკოვსკი, კროტოვი, ფერნსოვი. ისინი აღნიშნავდნენ, მათი აზრით, ბრალდებულთა დანაშაულის სხვადასხვა ხარისხს, და სთხოვდნენ სასამართლოს მხედველობაში მიეღო დანაშაულის ყველა მამსუბუქებელი გარემოება.

საპასუხო რეპლიკაში სახელმწიფო ბრალმდებელმა ამხ. როგინსკიმ მკაცრად გააკრიტიკა დამცველ ბიალკოვსკის სიტყვა.

შემდეგ სასამართლომ მოისმინა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები. ყველანი სავსებით აღიარებენ თავს დამნაშავედ და სთხოვენ სასამართლოს სასჯელის ღონისძიების შემსუბუქებას. ასეთივეა შტიკლინგის საბოლოო სიტყვაც.

— მე ამ დღეებში,—ამბობს შტიკლინგი,—სავსებით შევიგნე ჩემი დანაშაული. მე სრულად ვუამბე სასამართლოს ჩემი ბოროტმოქმედებანი, რომლებიც ჩავიდინე საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. არაფერი არ დამიმალავს. აქ აშკარად ვთქვი—რომ თვითონ მე არ წავსულვარ მავნებლური გზით. მე ვუთხარი სასამართლოს, ვინც წამიყვანა ამ გზით. იმედი მაქვს, რომ საბჭოთა სასამართლო მხედველობაში მიიღებს ჩემს გულწრფელ მონანიებას და შემიმსუბუქებს ხვედრს.

სასამართლო მიდის სათათბიროდ განაჩენის გამოსატანად.

განაჩენის შინაარსი

ნოვოსიბირსკი, 22 ნოემბერი. (საქდესი). სხდომის განახლების შემდეგ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარემ ამხ. ულრიხმა გამოაცხადა განაჩენი, რომელშიაც ნათქვამია:

— წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალებით დადასტურდა:

I. კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-დივერსიული ჯგუფის შემადგენლობა კემეროვოს მაღაროში

1936 წლის ოქტომბერში, კუზბასის კემეროვოს მაღაროში შინსახკომის ორგანოების მიერ აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - დივერსიული ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა ადგილობრივი ტროცკისტებისაგან — ი. ი. ნოსკოვისა, ფ. ი. შუბინისა, მ. ი. კუროვისა და კემეროვოს მაღაროს საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების — ი. ა. პეშეხონოვისა, ვ. მ. ანდრეევისა, ი. ტ. ლიაშჩენკოსა, ი. ე. კოვალენკოსა და ნ. ს. ლეონენკოსაგან.

ეს კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - დივერსიული ჯგუფი თავის დანაშაულებრივ საქმიანობაში ორგანიზაციულად იყო დაკავშირებული ტროცკისტ ნოსკოვის საშუალებით დასავლეთ-ციმბირის მხარის ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაციის ერთერთ ხელმძღვანელ ი. ნ. დრობნისთან, რომლის საქმეც ცალკე საწარმოებლად გამოიყო, ხოლო პეშეხონოვის საშუალებით — კემეროვოს მაღაროში მომუშავე გერმანელ ინჟინრებთან — ამ საქმეზე ბრალდებულ ე. ი. შტიკლინგთან და არამონტთან, რომელიც 1935 წელს წავიდა საბჭოთა კავშირიდან.

II. კემეროვოს მაღაროში მომქმედი კონტრრევოლუციური ჯგუფის მიზნები და ამოცანები

კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - დივერსიული ჯგუფი სოციალისტური მშენებლობის ჩაშლისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის მიზნით, თავის ძირითად ამოცანად სთვლიდა საბჭოთა სახელმწიფოსთან ბრძოლას დივერსიული და მავნებლური აქტების მოხდენის გზით და მოქმედებდა დასავლეთ-ციმბირის კონტრრევოლუციური ტროცკისტული ცენტრის წევრთა — ტროცკის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი აგენტების ნ. ი. მურალოვისა და დრობნისის უშუალო ხელმძღვანელობით, რომლებიც დივერსიულ მავნებლურ და ტერორისტულ დავალებებს ღებულობდნენ საერთო-საკავშირო ტროცკისტული ცენტრის წევრისა და ტროცკის უახლოესი თანაშემწისაგან — გ. ლ. პიატაკოვისაგან.

ამ კონტრრევოლუციური ჯგუფის მავნებლური და სადივერსიო მუშაობა პირველ რიგში მიმართული იყო იქით, რომ ჩაეშალნა ქვანახშირის ამოღება კუზბასის კემეროვოს მაღაროში, როგორც დიდი სამეურნეო და თავდაცვითი მნიშვნელობის საწარმოში.

III. სავენტილაციო მეურნეობის დანგრევა და უსაშიშროების ტექნიკის წესების დანაშაულებრივი დარღვევა

დრობნისის დავალებით კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - დივერსიული ჯგუფი კემეროვოს მაღაროში ამზადებდა და ატარებდა მავნებლურ და დივერსიულ აქტებს, რისთვისაც, შახტების სანგრევებში დიდძალი ჩიხების შექმნის, სავენტილაციო მეურნეობის განზრახ დანგრევისა და უსაშიშროების ტექნიკის წესების სისტემატურად ბოროტი განზრახვით დარღვევის გზით, მოაწყო გაზის დაგროვება შახტ „ცენტრალნაიაში", რაც იწვევდა მუშების ხშირ მოწამვლას და ქმნიდა შახტის აფეთქების მუდმივ საფრთხეს.

სავენტილაციო მეურნეობის განზრახ დანგრევაში, უსაშიშროების ტექნიკის წესების ბოროტი განზრახვით დარღვევაში და შახტ „ცენტრალნაიაში" გაზის დაგროვებაში უშუალო დანაშაული მიუძღვით ბრალდებულებს—პეშეხონოვს, ნოსკოვს, ანდრეევს, კუროვს, შუბინს, ლიაშჩენკოს, კოვალენკოს და ლეონენკოს.

IV. მუშების მოწამვლა

შახტში გაზის დაგროვების შედეგად მოხდა მუშათა მოწამვლის მრავალი შემთხვევა, ხოლო, 1935 წლის დეკემბერში კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - დივერსიული ჯგუფის მონაწილეებმა შუბინმა, ლეონენკომ, პეშეხონოვმა და ანდრეევმა განზრახ დაუშვეს ნახშირჟანგის შეჭრა სამუშაო ადგილებში, რის შედეგად 1935 წლის 28 დეკემბერს სასიკვდილოდ მოიწამლა ორი მაღაროელი მუშა-პიხუგინი და პორშნევი.

V. შახტ „ცენტრალნაიაში" აფეთქების მოწყობა და შესრულება

მიიღო რა ტროცკისტ-ნოსკოვის საშუალებით დასავლეთ-ციმბირის ტროცკისტულ ცენტრის წევრის დრობნისისაგან წინადადება — გაეძლიერებინა კონტრრევოლუციური დივერსიული საქმიანობა, მაღაროებში ხანძრებისა და აფეთქებათა, მუშების მოწამვლისა და მკვლელობის ორგანიზაციის გზით, — კემეროვოს მაღაროს კონტრრევოლუციურმა ტროცკისტულ - დივერსიულმა ჯგუფმა დააჩქარა შახტ „ცენტრალნაიაში" აფეთქების მომზადება.

კემეროვოს ტროცკისტულ - დივერსიული ჯგუფის კონტრრევოლუციური დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად 1936 წლის 23 სექტემბერს კემეროვოს სამადნო სამმართველოს შახტ „ცენტრალნაიას" მეორე რაიონის კემეროვოს ფენის ჩრდილო ფრთაზე მოხდა მგრგვინავი გაზის აფეთქება, რამაც გამოიწვია 10 მაღაროელი მუშის დაღუპვა და 14 მაღაროელი მუშის მძიმედ დაშავება.

ამ ბოროტმოქმედებაში უშუალო დანაშაული მიუძღვით ბრალდებულებს—პეშეხონოვს, ნოსკოვს, შუბინს, ანდრეევს, კოვალენკოს, ლეონენკოს, ლიაშჩენკოს და კუროვს, რომლებსაც, ამზადებდნენ რა მაღაროს აფეთქებას, ესმოდათ, რომ მუშები აუცილებლად დაიღუპებოდნენ და სავსებით შეგნებულად და მოფიქრებულად სჩადიოდნენ ამ საზიზღარ ბოროტმოქმედებას, იმ ანგარიშით, რომ ამით პროვოკაციულად გამოეწვიათ მუშების აღშფოთება და შეერყიათ მათი ნდობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

VI. გერმანიის ქვეშევრდომ შტიკლინგის მონაწილეობა კემეროვოს მაღაროს მავნებლურ საქმიანობაში

ბრალდებულმა, გერმანელმა ინჟინერმა შტიკლინგმა, უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს მზვერავი ორგანოების დავალებით, 1934 წელს კავშირი გააბა მისთვის ცნობილ მავნებელ პეშეხონოვთან, რომელსაც, კემეროვოს მაღაროს საშახტო მეურნეობის დეზორგანიზაციის მიზნით, სისტემატურად აძლევდა მავნებლურ დავალებებს — შეეფერხებინა მშენებლობა შახტ „სევერნაიაში", ჩაეშალნა შახტ „ცენტრალნაიას" განვითარებისათვის წარმოებული სამუშაოები და გაეჩინებინა შახტებში მიწისქვეშა ხანძრები.

მავნებლობის დარგში უფრო მეტი შედეგების მისაღწევად შტიკლინგმა წინადადება მისცა პეშეხონოვს გაეძლიერებინა მავნებლური მუშაობა, რისთვისაც შექმნა მავნებელთა კონტრრევოლუციური ჯგუფი.

პეშეხონოვმა, კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - დივერსიული ჯგუფის სხვა მონაწილეებთან ერთად, შეასრულა შტიკლინგის მავნებლური დავალებანი.

ამას გარდა, ბრალდებულმა შტიკლინგმა პირადად შახტში მუშაობის დროს მავნებლურად გაიყვანა რამდენიმე შურფი, რისი მიზანიც იყო ამ შახტის განვითარების შეფერხება და ამით ქვანახშირის ამოღების ჩაშლა.

შახტიდან დათხოვნის შემდეგ შტიკლინგმა პეშეხონოვს დავალება მისცა — ეწარმოებინა მავნებლური მუშაობა თვით შახტების აფეთქებამდე.

ცნობებს მთელი თავისი მავნებლური საქმიანობის შესახებ შტიკლინგი სისტემატურად აწვდიდა უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს მზვერავი ორგანოების წარმომადგენლებს.

VII. ბოროტმოქმედების კვალიფიკაცია

ამგვარად დადასტურდა **პეშეხონოვის, ნოსკოვის, ანდრეევის, შუბინის, ლიაშჩენკოს, კუროვის, ლეონენკოს და კოვალენკოს** დანაშაული იმაში, რომ იყვნენ რა აქტიური მონაწილენი კემეროვოს მაღაროში მოქმედი იმ კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - დივერსიული ჯგუფისა, რომელიც დასავლეთ-ციმბირის ტროცკისტული ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობით აწარმოებდა ბრძოლას საბჭოთა სახელმწიფოსთან:

1) 1935-1936 წლების განმავლობაში მოახდინეს მთელი რიგი მავნებლური აქტები, რომლებიც მიმართული იყო ქვანახშირის ამოღების ჩაშლისაკენ, შახტებში საამშენებლო სამუშაოთა დეზორგანიზაციისაკენ და საშახტო მეურნეობის დანგრევისაკენ.

2) ხანძრებისა და აფეთქებათა, მუშების დაღუპვისა და მოწამვლის ორგანიზაციისათვის დაანგრიეს შახტ „ცენტრალნაიას" სავენტილაციო მეურნეობა, რითაც გამოიწვიეს მუშათა მოწამვლის მრავალი შემთხვევა და შექმნეს შახტის აფეთქების გარდუვალობის პირობები.

3) 1935 წლის 28 დეკემბერს განზრახ დაუშვეს გაზის შეჭრა სამუშაო ადგილებში, რის შედეგადაც სასიკვდილოდ მოიწამლა ორი მაღაროელი მუშა და

4) 1936 წლის 23 სექტემბერს შახტ „ცენტრალნაიაში" მოახდინეს დივერსიული აქტი, რამაც გამოიწვია 10 მაღაროელი მუშის სიკვდილი და 14 მაღაროელი მუშის მძიმედ დაშავება, — ე. ი. დადასტურდა მათ მიერ იმ დანაშაულთა ჩადენა, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58—7, 58—9 და 58—11 მუხლებით.

შტიკლინგის მიმართ დადასტურებულია მისი დანაშაული იმაში, რომ, მუშაობდა რა კემეროვოს მაღაროში ობერ - შტეიგერის თანამდებობაზე, უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს მზვერავი ორგანოების პირდაპირი დავალებებით 1934-1935 წლ., როგორც თვითონ პირადად, ისე პეშეხონოვისა და კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-დივერსიული ჯგუფის სხვა მონაწილეთა ხელშეწყობით, ჩაიდინა მთელი რიგი მავნებლური აქტები, მიმართული „კუზბასუგოლის" კემეროვოს მაღაროს მუშაობის დეზორგანიზაციისაკენ, იმ მაღაროსი, რომელსაც დიდი სამეურნეო და თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს, ე. ი. ჩაიდინა რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58—7 და 58—11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულნი.

VIII. დასჯის ღონისძიებანი

ზემოაღნიშნულისა გამო და იხელმძღვანელა რა რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 319 და 320 მუხლებით, სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ

მიუსაჯა

1) ივანე ივანეს-ძე ნოსკოვს, 2) თეოდორე ივანეს-ძე შუბინს, 3) მიხეილ ივანეს-ძე კუროვს, 4) ივანე ტიტის-ძე ლიაშჩენკოს, 5 ვლადიმერ მიხეილის-ძე ანდრეევს, 6) ივანე ემელიანის-ძე კოვალენკოს, 7) ნიკოლოზ სიმონის-ძე ლეონენკოს, 8) ივანე ანდრიას-ძე პეშეხონოვს და 9) ემილ ივანეს-ძე შტიკლინგს —

დასჯის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა

მათი პირადი ქონების კონფისკაციით.

განაჩენი საბოლოოა და მისი საკასაციო წესით განსაჩივრება არ შეიძლება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ციტრუსოვან ნარგავთა მდგომარეობისა და შემდგომი დარგვის წესის შესახებ

(ბუდნების ზომა, მათი მოვლა და შენახვა).

მიუხედავად იმისა, რომ ციტრუსოვან ნარგავთა ზრდისა და განვითარების და მათი მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ღეროსირგვლივი წრეების (ბუდნების) გაფართოვებას, ამ ღონისძიებას ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ კ.პ. (ბ) აჭარისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტები და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომები და რაიაღმასკომები, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, უფროსი აგრონომები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და ბრიგადირები.

აჭარის მიწსახკომის ტრესტის საბჭოთა მეურნეობა № 2-ის და სხვა მეურნეობათა ციტრუსოვანი პლანტაციების დათვალიერებამ ცხადჰყო, რომ დარგული ციტრუსოვანი ხეების მოვლა და მათი დარგვის წესი დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი, რაც ციტრუსოვანთა მოსავლიანობის გადიდების საქმეს სერიოზულ ზიანს აყენებს. ბუდნები წესიერად არ არის გაკეთებული, მათ არა აქვს შესაბამისი სიგანე დიამეტრში, რაც იწვევს შეტანილი სასუქისა და ნოყიერი ნიადაგის გადარეცხვას. არსებული ბუდნები გაუფხვიერებელია და გადავლილია სარეველა ბალახებით. ხეები წესიერად არ არის დარგული და მათი ფესვების ნაწილი მიწის ზედაპირზეა.

ციტრუსოვან ნარგავთა მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის მაქსიმალურად ამაღლების მიზნით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საქართველოს მიწსახკომს, საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ფოთის, აბაშის, ცხაკაის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ხობის რაიონების რაიკომებსა და რაიაღმასკომებს, ლიმანტრესტის, აჭარტრესტის, აფხაზეთის ტრესტის დირექტორებს და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

1937 წლის გაზაფხულზე ჩაატარონ ყველა არსებულ ძველ ციტრუსოვან ნარგავთა ღეროსირგვლივი წრეების (ბუდნების) გაფართოვება როგორც ვაკე ადგილებზე, ისე ფერდობებზე. ღეროსირგვლივი წრეების დიამეტრი ვაკე ნაკვეთებზე 3 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ფერდობებზე გაშენებულ ძველ ციტრუსოვან ნარგავთა ღეროსირგვლივი წრეების ზომა აყვანილ უნდა იქნას სიგრძით 3 მეტრამდე, ხოლო სიგანით 2,5 მეტრამდე. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ფერდობებზე ბუდნების 3-2,5 მეტრამდე გაფართოვება ეხება ფერდობის ტერასზე ზევით მდგომი ხის ფესვთა სისტემას, ბუდნების ზომა შესაბამისად უნდა შემცირდეს.

ფერდობებზე ბუდნები დაქანების მხრიდან ირიბად უნდა იქნას აწეული, რომ ამ ღონისძიებამ უზრუნველჰყოს სასუქთა შენარჩუნება და არ მოხდეს ნიადაგის ჩამორეცხვა, ხოლო უფრო ციცაბო ფერდობებზე, სადაც მჩატე ნიადაგებია, საჭიროა ბუდნების გამაგრება დაქანების მხრიდან მოწნული კედლების მოწყობის გზით. სასუქი იმგვარად უნდა იქნას შეტანილი ტერასის კედლის მხრიდან, რომ სასუქი არ ჩამოირეცხოს, არამედ ხის ფესვებში მოხვდეს.

ვაკე ნაკვეთებზე ყველა ახალი ციტრუსოვანი პლანტაციები უნდა გაშენდეს ჩვეულებრივი წესით ორმოებში, რომლების დიამეტრი ერთ მეტრს უნდა შეადგენდეს, ხოლო შემდეგ იმავე წელს ამ წრეების სიგანე აყვანილ იქნას ორ მეტრამდე დიამეტრში.

ფერდობებზე ახალი ციტრუსოვანი პლანტაციების გაშენებისას მოეწყოს მოედანი (ნახევარტერასები), 2 მეტრი სიგრძითა და 1,75 მეტრი სიგანით და აქ ამოითხაროს დასარგავი ორმო.

ნარგავებს, რომლებსაც საკმაო სიღრმეზე არა აქვს გადგმული ფესვები (ზედაპირზეა), ფესვის ყელამდე უნდა შემოეყაროს მიწა.

მძიმე ნიადაგებზე გაშენებული ნარგავებისათვის ნიადაგის პირობების გაუმჯობესების მიზნით, ორგანული სასუქის შეტანასთან ერთად, ღეროსირგვლივ წრეებში საჭიროა აგრეთვე ქვიშის ჩათოხნა, საშუალოდ არანაკლებ 30 კილოგრამისა ყოველ ხეზე.

ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლისას, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ღეროსირგვლივი წრეების (ბუდნების) ფორმებისა და ზომის დაცვა, ამასთან ბუდნები მუდამ გაფხვიერებულ მდგომარეობაში უნდა იყოს და სარეველა ბალახებისაგან იწმინდებოდეს (გაფხვიერება იმგვარად უნდა სწარმოებდეს, რომ ფესვებით ფესვთა სისტემა არ დაზიანდეს, სარეველა ბალახების გამომარგვლა კი უნდა სწარმოებდეს ხელით), ხოლო შემოდგომაზე უნდა დაითესოს საშემოდგომო-საზამთრო სიდერატები.

აჭარისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიკომებსა და რაიაღმასკომებს წინადადება მიეცათ ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში მოაწყონ თითეული ხის ბუდნების მდგომარეობის შემოწმება საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე და ყოველ მეურნეობაში დააწესონ ციტრუსოვანი ხეების ბუდნების მოსაწყობად მუშაობის დაწყებისა და დამთავრების მტკიცე ვადები ამ დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს მიწსახკომს წინადადება მიეცა ორი დეკადის ვადაში დაუგზავნოს რაიონებს ინსტრუქციები და პლაკატები ილუსტრაციებით და ციტრუსოვანთა დარგვის წესის, ბუდნების ზომის, ბუდნების მოვლისა და შენახვის წესების მითითებით.

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ აჭარის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში ქარსაფარების მოწყობისა და დეკორატიული გაფორმების სახით, ციტრუსოვან ხეებთან ახლო მანძილზე რგავენ კრიპტომერიას და კვიპაროსს, რითაც ზიანს აყენებენ ციტრუსოვან ხეებს, რადგან ფესვებს უზიანებენ და ჩრდილავენ მათ.

საქართველოს კ.პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტს და ცაკს წინადადება მიეცათ აღმოფხვრან აჭარის სამიწათმოქმედო ორგანოებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების მხრით ევკალიპტების, როგორც უძვირფასესი კულტურისა და კარგი ქარსაფარის გაშენების უდიდესი მნიშვნელობის არასათანადოდ შეფასება, და თითეულ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში დასახონ ღონისძიებანი, რომლებითაც უზრუნველჰყონ ევკალიპტების ნარგავითა, როგორც სუბტროპიკული კულტურებისათვის ქარსაფარის ფართოდ დანერგვა.

მიწსახკომს და ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას წინადადება მიეცათ 1937 წლისათვის ევკალიპტების გაშენების გეგმის დამუშავებისას გაითვალისწინონ აჭარაში ევკალიპტების გაფართოვებული გაშენება (საქდესი).

მადრიდის ფრონტზე

ვალენსია, 22 ნოემბერი. (საქდესი). ფაბრის სააგენტო იუწყება, რომ 21 ნოემბერს, ღამით მეამბოხეთა ცდა — იერიში მიეტანათ ტოლედოს ხიდზე, მარცხით დამთავრდა. მეამბოხენი უკუქცეულ იქნენ; მათ დასტოვეს ტანკი.

დღეს, ბლიონზე, რესპუბლიკის ჯარებმა დაიწყეს შეტევა კაზა დელ კამპოზე, რათა მოსპონ მეამბოხეთა ჯგუფები, რომლებიც იქ გამაგრებული არიან. ეს ჯგუფები მჭიდროდ არიან ალყაშემორტყმულნი. მათ დაჰკარგეს ყოველგვარი კავშირი მეამბოხეთა ძალებთან კარაბანჩელში და მეამბოხეთა ნაწილების [illegible] უნივერსიტეტის უბანში. რესპუბლიკის არმიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უკუაგდოს მოწინააღმდეგის წინწაწევის ყოველგვარი ცდა.

დღეს მადრიდის დამცველთა აქტივობამ ფაქტიურად [illegible] ქალაქის ბომბარდირება. მთელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის თვითმფრინავები მადრიდის თავზე არ გამოჩენილან.

რესპუბლიკის ძალებმა მიაღწიეს წარმატებებს არაგონიაში, უესკა-საროგოსის რაიონში, სადაც მთავრობის ჯარები წინ მიიწევენ.

ირლანდიელი ფაშისტები ეხმარებიან მეამბოხეთ

ლონდონი, 22 ნოემბერი (საქდესი). ირლანდიელ ფაშისტთა ლიდერი გენერალი ო, დეფი ფაშისტური „ირლანდიელთა ბრიგადის" 40 წევრით დუბლინიდან ესპანეთს გაემგზავრა ფაშისტ მეამბოხეთა დასახმარებლად.

ლიტერატურული ფურცელი № 6

◆ ხალხური შემოქმედება ◆

ორი მზე

მზეო, ნუ სტირი, ილიჩი
შეგვიმოსავს სხივებით;
შენი მეგობრის ცხედარი
მოჰფინე მარგალიტებით.
ვით ვკადრო, მაგრამ
თქვენს შორის
დიდია განსხვავება:
შენ მარტო დღისით გვინათებ,
ეს კი ღამითაც მზე არი.
კარგია შენი სხივები,
მაგრამ ის გულსა ვერ სწვდება,—
გარეგან სახეს გვიბრწყინებს
და ისევ უკან ბრუნდება.
ლენინის სხივნი კი გულის
და სულის სიღრმეს სწვდებიან,
მოყვარის გასაკურნავად
მტერს ლახვარივით ხვდებიან.
ლენინის მოვლინებამდე
მარტო შენ გვყავდი ნუგეშად,
ყველასგან მოძულებულნი
ვთბებოდით ჩვენ შენს უბეში.
მაგრამ თბებოდა სხეული,
სული კვლავ იყინებოდა,
ვინ ჩამოსთვლის რამდენი,
მუშა უმწეოდ კვდებოდა.
ირგვლივ წყვდიადის გაქრობა
ორთავეს ერთგვარ გწევიათ;
თქვენგან გაბრწყინდენ ყოველნი,
გარშემო ვინც გახვევიათ.
როცა, მზევ, სახეს გვარიდებ,
— მზე ჩავიდაო, ჰგონებენ,
დღეს კი ლენინის შესახებ,
ვითომ მოკვდაო, ამბობენ.
ვერ დავიჯერებ, თქვენ ორში
ლენინი უწინ მოკვდესა.
ის კაცი, ვინ მსოფლიოში
თავისუფლება დასთესა,
გააქრო ძალმომრეობა,
მტარვალთა გული აკვნესა,
პირველად თანასწორობა
ამ ქვეყნად ვინც დააწესა.
ორივე მზე ხართ ბრწყინვალე,
სიცოცხლის ამყვავებელი,
არ არის ქვეყნად ძალაი
თქვენთა სხივთ ჩამაქრობელი;
ორივე მზე ხართ ცხოველი,
მსოფლიოს მანათობელი.

მთქმელი მ. ჯიბლაძე
ქობულეთი.

◇ ○ ◇

ლენინზე და სტალინზე

ბელადი ჩვენი ლენინი
გმირობის გამომგონია,
სინათლის სხივი მოჰფინა,
დაჩაგრულთ მისაწვდომია.
ჰკვნესოდა მუქთახორათგან
ეს ხალხი ამოდონია,
ზოგი შიმშილით კვდებოდა,
ზოგს გულზე ჰქონდა ჭონია.
მეცნიერმა ჩაგვაგონა,
მუშა ხალხშია ძალაო,
ბურჟუებისა ხმამა
გაგვიტანჯა, გაგვაწამაო.
უწინ რომ მიწის გულისთვის
ძმა შეებრძოდა ძმასაო,
დღეს კოლექტივი ზეიმობს,
ტრაქტორი უწყობს ხმასაო.

ავაგოთ სოციალიზმი,
დე, იყოს ჩვენი ნებაო,
მოგვშორდეს მძიმე ტვირთები,
გვეჩვიოს დალხინებაო,
მიეცეს მეცნიერება,
ვისაც არ გაეგებაო,
კომუნისტური პარტია
პირნათლად გაგვიძღვებაო.
ახლა ახალ გზას მიჰყვება
მშრომელი, სოფლის გლეხიო,
კოლექტიურმა ცხოვრებამ
ჩვენშიც მოიდგა ფეხიო,—
სტალინის სიტყვამ გაგვიჰრა,
წელში გასწორდა გლეხიო.

მთქმელი ვ. ბირულაშვილი
ჯავახეთი, სოფ. კოთელია.

ახალი გურია ფოლკლორში

ალ. ღლონტი

ხალხური შემოქმედება უძირო ზღვაა, რომლის სიღრმეში მშვენივრად მოსჩანს ადამიანის ფანტაზიის, გრძნობის, ფიქრის, მისწრაფების, ჩვევისა და ბრძოლის საუკეთესო ნიმუშები. შრომის პროცესში ადამიანმა შექმნა რიტმი, სიმღერა, ცეკვა, მუსიკა, ლირიული ლექსი, გამოცანა, იგავი თუ არაკი. ცხოვრების მძიმე პრაქტიკამ უკარნახა ადამიანს ანდაზა და მოსწრებული სიტყვა, შემოქმედება შრომის პროცესში ჩაისახა, რამაც ცხოვრების განვითარების ფონზე მიაღწია მაღალ საფეხურს. ხელოვნება საზოგადოდ, რანაირი სახისაც არ უნდა იყოს იგი, თავის ძირებს ხალხში, ადამიანთა კოლექტივში ნახულობს.

განთავისუფლებული მშრომელი ხალხი უმღერის რევოლუციასა და მის სახელმოხვეჭილ გმირებს, უმღერის შრომასა და ბრძოლას, მაგრამ ამავე დროს არ ივიწყებს საყოფაცხოვრებო, ასე ვთქვათ, საშინაო საკითხებსაც, ქალ-ვაჟთა ტრფობას, მხიარულებას, გართობას, სიმღერას. ერთი სიტყვით ფოლკლორი არ არის ერთფეროვანი, ერთი რომელიმე ცალკეული საკითხის ამსახველი. იგი ისევე ფერადოვანი და მრავალმხრივია, როგორც მთელი ცხოვრება.

ოქტომბრის დიადმა რევოლუციამ ხარისხობრივად გააღრმავა და გაამდიდრა ფოლკლორის შინაარსი. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარებამ და საკოლმეურნეო ცხოვრების დამკვიდრებამ სოფელში, მთლიანად შეცვალა ხალხური შემოქმედების თემატიკა. მომხიბლავი ლექსებით ამკობს ხალხი მშრომელი კაცობრიობის დიდ ბელადებს ლენინსა და სტალინს, მშვენიერი სახეებით უმღერის იგი ლენინ-სტალინის დიად პარტიას, კოლმეურნეობას, ტრაქტორს, ჩაის, ციტრუსებს, შრომის უხვ ბარაქას. ყოველივე ეს განსაკუთრებული ოსტატობითა და სილამაზითაა ნაჩვენები თანამედროვე საბჭოთა ფოლკლორში.

ლენინ-სტალინის პარტია უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევს ფოლკლორს. გაჩაღებულია მასობრივი მოძრაობა ხალხური ლექსების, ზღაპრების, ანდაზების, გამოცანების შესაგროვებლად. ამასწინად „იზვესტიაში" იყო აღნიშნული, რომ მარტო მოსკოვის ოლქში ამხანაგ ლ. კაგანოვიჩის ინიციატივით, შეაგროვეს 50.000 სხვადასხვა ხალხური ლექსი ლენინზე, სტალინზე, კოლმეურნეობაზე, ოქტომბერზე და სხვ.

სპეციალურად ქართული ფოლკლორის შესახებ ორიოდე წიგნი მოგვეპოვება... შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ქართული საბჭოთა ფოლკლორი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი და ამ დარგში დიდი მუშაობა არის ჩასატარებელი როგორც მასალების შეკრება-გამოცემის, ისე მისი მეცნიერული ანალიზისათვის.

თუ მთლიანად ქართული ფოლკლორის შესახებ ვამბობთ, რომ იგი შეუსწავლელია - თქო, მითუმეტეს ამის თქმა შეგვიძლია კერძოდ გურული ფოლკლორის შესახებ.

ახალი გურია მდიდარია ხალხური შემოქმედების ნიმუშებით. იქ მძლავრად სჩქეფს საკოლმეურნეო შეძლებული ცხოვრება. მისი ლამაზი გორაკები და მინდვრები დაფარულია ძვირფასი კულტურებით. ჩაი და დაფნა, ლიმონი და მანდარინი, გერანი და ტუნგო, ლუფა და სოია —აი რა ამშვენიერებს სოციალისტურ გურიას. ხრიოკი გორაკები, სადაც ნარეკალს გაედგა ძირი და მგლებსა და ტურებს ჰქონდა ბინას, —ახლა დამშვენებულია ლამაზი პლანტაციებით.

ამ წარმტაცი და ლამაზი ცხოვრებისათვის ხალხი თავის პირველ მგზნებარე სიტყვას უძღვნის საკოლმეურნეო ცხოვრების გენიალურ შემოქმედს, კოლმეურნეთა უსაყვარლეს მეგობარს დიდ სტალინს.

კოლმეურნეები შეჰხარიან ჩაისა და მანდარინს, მათი შრომის ბარაქას. აქაც სიყვარულით ისმის დიდი სტალინისადმი მიძღვნილი მომხიბლავი სიმღერები.

ლაითურში ჩაი დავრგეთ
და ურეკში მანდარინი,
ვენაცვალე სტალინის ხელს
კოლექტივში მოგვცა ბინა.

მშრომელებმა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით სოფლად მოსპეს კლასობრივი უთანასწორობა. კულაკი და ხუცესი, თავადი და აზნაური—მშრომელების მოსისხლე მტრები—განადგურებული და ალგვილია. მათ ისტორიამ გამოუტანა თავისი მკაცრი განაჩენი.

ნასაკირალს გადავხედე
ჩაი გაშენებულაო,
კულაკის და ვაჭრის საქმე
უკვე დაბნელებულაო.
ან კიდევ:
თავადი და აზნაური
მისმა რჯულმა მიარცხვინა,
კოლექტივში გავაშენეთ
ლიმონი და მანდარინი.

ხალხს სძულს ჩაის მტერი, მუქთახორა, ხარმაცი. ხალხი იმედის გრძნობით შეჰყურებს ჩაის პლანტაციას და მუყაითად უვლის მას.

იქით ჩაი, აქეთ ჩაი,
გავაშენოთ ჩაის ბაღი,
ვინც მტერია ჩვენი ჩაის
ხვალ დილამდი არ გადარჩა...

საკოლმეურნეო ლექსები მთელი სიღრმით გვიჩვენებს სოციალისტური სოფლის ლამაზ სახეს, ლენინ-სტალინის პარტიისა და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულს, კოლმეურნეთა ბრძოლას შეძლებული ცხოვრებისათვის, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და შრომა-დღეების გამრავლებისათვის. ამ ლექსებში ხალხი უმღერის ბოლშევიკურ გაზაფხულს, ტრაქტორს, თესვას, საკოლმეურნეო დოვლათიან შრომას. უაღრესად საინტერესოა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის, ვოროშილოვისა და ლავრენტი ბერიასადმი მიძღვნილი სასიმღერო ლექსი:

მოდის ტურფა გაზაფხული
ვარდსა დაკრეფს, იისა,
და ბულბული შამოსძახებს
მისიურათ ტიისა.
გაუმარჯოს ჩვენ დიდ სტალინს
მტკიცე ფოლადიანსა,
და ჩვენ დიდ გმირს ვოროშილოვს
და წითელ-არმიისა.
მსოფლიოში ჩვენ ძმებს, მუშებს,
მტკიცე კომპარტიასა,
სწორი ხაზის გამტარებელს
ლავრენტი ბერიას.

ეს ლექსი გურიაში ყველაზე უფრო პოპულარული სასიმღერო ლექსია, რომელსაც მღერიან კოლმეურნე—მომღერალთა გუნდები, ამღერებენ „ჩონგურზე" და სხვ. ამ ლექსის შესაფერისად გურული ხალხური სიმღერების ლოტბარმა ვარლამ სიმონიშვილმა შეთხზა სიმღერა, რომელსაც ხშირად გაიგონებთ საკოლმეურნეო მინდვრებსა, ჩაის პლანტაციებსა და კოლმეურნე მომღერალთა გუნდებში.

გურული ფოლკლორი, ლექსის როგორც ტექნიკითა და ფორმით, ისე თემატიკურადაც მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.

როგორც ვხედავთ ახალი გურია მშვენიერ-სახეებშია ნაჩვენები ხალხურ შემოქმედებაში. ამას უნდა დაუმატოთ უთვალავი ზღაპრები, თქმულებები, ანდაზები, არაკები, მოსწრებული სიტყვები, რევოლუციონერ ფირალთა ლექსები, რომლითაც განთქმულია გურია; მაგრამ ყოველივე ეს მკითხველთა ფართო მასისათვის ჯერ კიდევ უცნობი და ხელმიუწვდომელია. იგივე უნდა ითქვას მთლიანად ქართული საბჭოთა ფოლკლორის საუნჯის შესახებაც. ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვება აქამდის არ იყო მოწესრიგებული. 1936 წლის ივნისიდან ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შ. რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში შეიქმნა ფოლკლორის სპეციალური სექცია, რომელიც აწარმოებს მუშაობას ქართული საბჭოთა ფოლკლორის შესწავლისათვის.

გასულ ზაფხულს უნივერსიტეტის რექტორის ამხ. კ. ორაგველიძის ინიციატივით მოეწყო სპეციალური ფოლკლორული ექსპედიციები გურიაში, სვანეთში, სამეგრელოში, ქართლში და კახეთში. შეგროვილია უაღრესად საინტერესო მასალები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავამუშაოთ თანამედროვე საბჭოთა ფოლკლორის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. ამხ. კ. ორაგველიძის ინიციატივითავე ეწყობა ფოლკლორული მასალების მეცნიერული გამოცემები. 1937 წლის პირველ კვარტალში უნივერსიტეტის გამომცემლობა გამოუშვებს კერძოდ გურული ფოლკლორის პირველ ტომს, რომელშიაც ნაჩვენები იქნება ახალი გურიის მთელი ფოლკლორული მრავალმხრივ ყურადსაღებ სიმდიდრე.

სიმღერა სტალინზე

უძლეველია სტალინი,
მტერი ვერარას ჰხედავსო,
თვალი შორს უჭვრის არწივსა,
ხალხის მტრებს ყველგან ჰხედავსო,
სიმართლის ხმალი უჭირავს,
სიმტყუნეს თავსა ჰკვეთავსო—
საძირკვლადა ჰყავს ლენინი,
თითონ საქმესა ჰწყვეტავსო.

მთქმელი ი. სინჯიაშვილი.
(ჩაწერა ი. მჭედლიშვილმა)
სოფ. ანაგა, სიღნაღის რაიონი.

ლავრენტი ბერია მთაში

საქართველოს ხელმძღვანელი
მთაში მოიდა ბერია,
მაგისი ფიქრი - გონება
სიტყვით სათქმელად ძნელია.
სტალინის ერთგულ მოწაფეს
მაისის ვარდი ჰფენია,
იმ ვარდზე ბულბული გალობს,
რა კარგი შესასმენია.
— ისწავლეთ წიგნი, გვეძახის,
ვაჟკაცის შესაფერია,
ისწავლეთ წერა და კითხვა,
რაც ჩვენს წიგნებში სწერია.
ჯიხვს იალალი ალალებს,
არწივს მაღალი მთებია,
ცას ელვა, მიწას ყოილი
და ჩვენ — სტალინის გენია.

მთქმელი გ. ლუდუშაური.
ჩაწერა ალ. გომიაშვილმა.

ახალი თბილისი

ცხვარ გავილალე თრიალეთს,
მიველ თბილისის კარსაო,
გზებ ვეღარ ვიცან იმისი,
სხვა მხრივ მივრეკდი ცხვარსაო.
გამოცვლილა ქალაქი
ბერიას პირმზედარსაო:
თითო ბგეთი სახლი დგა,
მტერს თავზე დასცემს ზარსაო.
ვეღარ გავიგენ გზა-კვალი,
პირ-პირ მივყევი მტკვარსაო;
ქუჩები გაუწყვიათ—
ატარებენ ცხვარსაო.
მივდიოდ ბაღი დაურგავთ,
ამბობს გულს და თვალსაო...
კვლავაც გაუმარჯოს, ქალაქო,
შენს ამშენებელს ძალსაო,
ჩვენსა საყვარელს სტალინსა —
ბედნიერობის თავსაო!

მთქმელი [illegible] ბუჩუქური.
(ჩაწერა ი. მჭედლიშვილმა)
სოფ. ალავერდი.

ჩვენი ქვეყანა გაწითლდა

ჩვენი ქვეყანა გაწითლდა,
სულ სხვა გვაქვს მთა და ველია,
ზედ აღმოცენდა მთავრობა
მუშის და გლეხის მცველია.
მოსპო ბრწყინვალე წოდება,
მოუსპო რკინის ცელია,
შეცვალა მეფის კანონი,
ადრევე შესაცვლელია.
მიწა გადასცა გლეხებსა,
შემუსრა მუქთახორები,
გამაილალა კონფიკურით,
როგორც დამფრთხალი ხბორები.
მშრომელთა ხელში გადადის
წყალი, მინდვრები, გორები,
და გადიქცნენ მშრომელნი
უფლებით თანასწორები.
ბევრი რამ კარგი კეთდება
მუშურ მთავრობის ყოლითა,
მიყრუებული სოფლები
მთლად მაიფინა სკოლითა,
ვენახ-მინდვრები ირწყვება
წყლის გასაყვანი ბროლითა.
ეს ყველაფერი, იცოდეთ,
ლენინმა მოგვცა ბრძოლითა.
მორჩა, რუსეთშიც მოისპო
ეს ბატონყმობა, მონები,
სხვაც ბევრი რამე კეთდება,
ეწყობა ელექტრონები,
შესდგა წითელი არმია,
მტრის მეხად გასაგონები,
რომ დაიმყარონ სამოთხე,
მოჰფინონ ვარდის კონები.
გამოიტანეს კანონად
ახალი დადგენილება:
გამხნევდით, შრომის შვილებო,
იყავით გულით მშვიდია,
და სამუშაოდ დღეებიც
ხდება საათი შვიდია.
აი, ამ წესებს შემოფრთხნენ
ბატონი მენშევიკები,
სიტყვით — „ხალხისა" შვილები,
საქმით კი — რაზმონიკები,
შიშისგან დაფრთხნენ, გაიქცნენ,
როგორც ბარდებში ხვლიკები,
მათ ხალხის მოსატყუებლად
ვერ გაიტანეს ხრიკები.

○

ჩვენი ქვეყანა გაწითლდა,
სულ სხვა გვაქვს მთა და ველია,
ზედ აღმოცენდა მთავრობა,
მუშის და გლეხის მცველია,
მოსპო ბრწყინვალე წოდება,
მოუსპო რკინის ცელია,
შეცვალა მეფის კანონი,
ადრევე შესაცვლელია.

მთქმელი
ი. მირიანაშვილი.
სოფ. ალავერდი.

ვ. კოტეტიშვილი

ქართული ფოლკლორი

ქართული ფოლკლორის მიმართ, ამ უკანასკნელ ხანებში, ყურადღება საგრძნობლად გამახვილდა. ეს ფაქტი გამომხატველია იმ დიდი ყურადღებისა, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში გაიშალა იმ დიდი შემოქმედების მიმართ, რომელსაც ხალხური ეწოდება სახელად.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში, ბრძოლა არის დაწყებული „ხალხური შემოქმედების" ხალხურობის წინააღმდეგ. ჰანს ნაუმანის თეორიის მიხედვით, ხალხურ პოეზიაში ხალხური არაფერია. „ყველაფერი „მაღალ ფარდებშია" შექმნილი, განათლებული არისტოკრატიის წრეში და იქიდან არის დაბლა ჩასული „ქვედა ფენებამდე". სული, პიროვნება და სინდისი — „ზედა-ფენების" კუთვნილება არისო.

ამ რეაქციულ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ, ჩვენ მხოლოდ თეორიულად კი არ ვიბრძვით, არამედ პრაქტიკითაც ვამტკიცებთ, რომ დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიულ მეცნიერთა ხსენებული დებულება ყალბია და ეს „დაბალი ფენები" დღეს, საბჭოთა კავშირში, შემოქმედების საოცარ ძეგლებსა ჰქმნიან. რომელი „მაღალი ფარდებიდან" არის წამოსული პოეზიის ის დიდი მდინარე, რომელიც თანამედროვე ფოლკლორის სახით მოედო მთელ საბჭოთა კავშირს. ვინ არის იმ თამამ და ცხოველმყოფელ სიმღერათა შემოქმედი, რომელნიც ლენინ-სტალინზე, სოციალისტურ მშენებლობაზე, კოლექტივიზაციაზე, ინდუსტრიალიზაციაზე და სხვ. მოგვითხრობენ? და ეს თანამედროვე საბჭოთა ფოლკლორი ხშირად ისეთ შედევრებს წარმოგვიდგენს, რომ უტოლდება კი არა, ცალკე შემთხვევებში სჭარბობს კიდეც დიდ ინდივიდუალურ შემოქმედებას.

„კოლექტიური შემოქმედების" მექანიკა არც ისე მარტივია, როგორც ფაშისტ „მეცნიერებს" წარმოუდგენიათ. საბჭოთა კავშირში საერთოდ და საქართველოში კერძოდ, ე. ი. ხალხური შემოქმედება აყვავებისა და გაშლის გზაზეა შემდგარი. საკმარისია თვალის გადავლებაც კი, რომ ნათელი გახდეს ხალხური რეპერტუარის თავისებურობა, მწიგნობრულ ლიტერატურასთან შედარებით. ხალხური თემატიკა, შესრულების ხერხები, პოეტური ლექსიკონი, კილო სულ თავისებურია და ძირითადად განსხვავდება იმ პოეტური ფაქტურისაგან, რომელიც ლიტერატურაში იყო გაბატონებული.

ხომ სადავო არ არის, რომ პოეტური ფოლკლორის ძეგლები მეტწილად ან შრომის პროცესებთან იყო და არის კიდეც დაკავშირებული. საწესო ცერემონიალის კუთვნილებას წარმოადგენენ, რაც იმავ შრომის პროცესების თავისებურ რეპროდუქციად უნდა ჩაითვალოს, ან ყოფიერების ამსახველი ძეგლებია, რაც გლეხური წრის გარეშე გაუგებარი და სოციალურად გაუმახვილებელი იქნებოდა.

რასაკვირველია, ეს „გლეხური წრეც" ერთნაირი არ იყო, ეკონომიურად და სოციალურად ეს ფენაც დანაწილებული იყო და „სხვათა მოჯამაგირის" მომღერალი „მდიდარ ტონოშვილს" არ უმღერებდა.

პეტრიას საზანდარი ვარ
ლექსების გამომჩარხავი,
აზნაურებში მავალი,
ზოგჯერ თავადის მნახავი...

ეს „პეტრიები" განირჩეოდნენ „მენახირე მალექსებლებისაგან", რომლებიც უმღეროდნენ გლეხკაცის შრომას, მარჯვენას, ბარაქას, ვაჟკაცობას.

აქ უნდა აღინიშნოს ქართული ხალხური ლექსის ერთგვარი თავისებურება: ლექსის ბოლოს ავტორი ამჟღავნებს თავის ვინაობას. „ეს ლექსი სიკომ გამოთქვა, პელიძე ჰქვიან გვარადა"... „წოვათის მენახირე ვარ, ჩალმა ვარ გომეწრელიო"... „მაგისი მომლექსობელი, ჩობანი ვიყავ ცხვრისაო"... და მრავალი სხვა... მთქმელის თუ გამომთქმელის პრობლემისათვის ფოლკლორისტიკაში ქართული ფოლკლორის ამ სპეციფიკურობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

○

ქართული ხალხური პოეზია — ქართული ხელოვნების საუკეთესო თვალია. საუკუნეთა განმავლობაში, იგი იყო ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატთა შთამგონებელი. ხალხური პოეზიის სტიქიონთან არის დაკავშირებული ქართული ლიტერატურის ყველა მწვერვალი. შოთა რუსთაველი, ქართული გენიის ეს უდიდესი გამოცხადება — ხალხური პოეზიით არის შთაგონებული; საბა-სულხან ორბელიანი და დავით გურამიშვილი — იმავე ფესვებზე არიან აღმოცენებულნი; ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა ხომ ისე ახლო არიან ხალხის გულის-გულთან მისულნი, რომ მანძილიც კი იკარგება ამ ორ სტიქიონთა შორის. ჩვენ აქ აღარ ვლაპარაკობთ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ვასილ ბარნოვისა და შ. არაგვისპირელის, ეკ. გაბაშვილისა და ბაჩანას და მრავალ სხვათა შესახებ, რომელთა შემოქმედებაც საკმაოდ ძლიერ არის განათებული ხალხური პოეზიის მზით.

ეს ხომ მარტო ქართულ ლიტერატურაზე არ ითქმის? მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი ძეგლები, „ილიადა-ოდისეა" თუ „ღვთაებრივი კომედია", „ანტიგონე" — „ოიდიპოს მეფე" თუ „დეკამერონი", „გეორგიკები" თუ „დონ-კიხოტი" და სხვ. მრავალი, ხალხური პოეზიის ნიადაგზე არიან ამოსული და გაზრდილი. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ხალხური პოეზიის დიდი სიახლოვისა მწიგნობრულ პოეზიასთან, იგივეობის ნიშნის დასმა ფოლკლორისა და ლიტერატურის შორის არ შეიძლება. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ხალხური პოეზია თავისებური ბუნებისაა. მან არ იცის ძეგლთა გაქვავება: იქ ყოველთვის მოტივთა დუღილია, ფაბულათა გადასვლა ერთი-მეორეში, სუჟეტთა შეხორცება თუ რეკონსტრუქცია და საერთოდ, მთელი პოეტური ფაქტურის მოძრაობა. პოეზიის ყველა ელემენტი ხალხურ შემოქმედებაში დროებით იყრის თავს განსაზღვრულ კომპოზიციაში, მაგრამ მალევე შორდება ერთმანეთის ახალ-და-ახალ შეხამებისათვის. რასაკვირველია, ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ხალხურ პოეზიას კალაპოტი არ გააჩნდეს, რომ ტიპიურობა იმისთვის უცხო იყოს. იმისი სპეციფიკურობა თუ გნებავთ ის არის, რომ ეს ცვალებადობა და მეტამორფოზები ტიპიურის საზღვრებში ხდება, რომ ინდივიდუალურის რღვევა და წარმავლობა ტიპიურის სიმტკიცის საზღვრებში დაცული. აქ ეძებნება ახსნა იმ ე. წ. კონტამინაციის, რომელიც ფოლკლორის ქვეყნის კუთვნილებას წარმოადგენს, და რომლის ძალითაც ესა თუ ის ამბავი, დახასიათება, ატრიბუტი და სხვ. განვითარების ერთ სტადიაზე თუ ერთ გმირს მიეწერება, მეორე სტადიაზე, იმავე ელემენტებით მეორე გმირს შემოსავენ, რომელიც იმავ ტიპს ემსგავსება, იგივე საზოგადოებრივი წონისა არის და ტრადიციულ ხასიათთა თუ ატრიბუტთა კომპლექსს ემატება ის ახალი და კერძო, რაც ამ ახალ სტადიას და ახალ გმირს ახასიათებს. გარდასვლა და განახლება ენაცვლებიან ერთმანეთს, და ამ ცვალებადობაში მუდმივი არის დიდი პოეტური გზნება და მოვლენათა ღრმა და წრფელი განცდა.

○

თანამედროვე ქართული პოეტური ფოლკლორი, ე. ი. ის ხალხური პოეზია, რომლის თემატიკასაც რევოლუციის ისეთი გარდაქმნა წარმოადგენს და ამ გარდაქმნის ხელმძღვანელთა: ლენინისა და სტალინის და მათ თანამებრძოლთა ხოტბა იმდენად გაიზარდა და გამრავლდა, რომ სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. ხალხურმა პოეტურმა ალღომ თუ ფანტაზიამ კარგად მიაგნო თანამედროვე მოვლენათა ძირითადს არსს და იშვიათი ამღერებით გამოსთქვა თავისი დღევანდელი იმედიანობა და სიხარული. ხალხურ რეპერტუარში უკვე ფეხი მოიკიდა და საკმაოდ განმტკიცდა სიმღერა კოლმეურნეობაზე, დამკვრელობაზე, სოციალისტურ შეჯიბრებაზე, მშენებლობაზე, წითელ ლაშქარზე, და განსაკუთრებით კი, სოციალისტური რევოლუციის ბელადებზე — ლენინზე და სტალინზე. და აქ, ამ სიმღერებში ჩვენმა ხალხმა იგივე ძალა და გზნება გამოიჩინა, რომლითაც მას შეუქმნია უდიდესი ეპიური სიმღერები:

მტერი ვერარას დაგვაკლებს,
[illegible]
[illegible]
[illegible]
მზე აღარ ჩაუსვენდება
დიდი სტალინის მიწასა....
ან მეორე ლექსში
სტალინო, ქვეყნის ბელადო,
ქარ-შავარდენო მთისაო,
[illegible]
როგორც რომ მამა შვილსაო,
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
მტერს ერთ ბატკანსაც არ მივცემ,
არც ერთ თიკანსა თხისაო,
[illegible]
ლამაზ-ნაგები ქვისაო,
[illegible]
[illegible]
შენით ვამაყობთ ბელადო,
ჩვენი ხარ, განა სხვისაო...

და ჯერ კიდევ რამდენი გრანდიოზული სიმღერა თუ თქმულება შეიქმნება ჩვენი ხალხის წიაღში, იმ ახალ განცდებთან დაკავშირებით, რომლებიც დღე და დღე იზრდება სოციალისტურ მშენებლობასთან ერთად.

○

ხალხური პოეზია და საერთოდ შემოქმედება უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ქვეყანა რომ არის, ამისი მტკიცება უკვე ტრუიზმი იქნებოდა. კერძოდ ქართული ფოლკლორი რომ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს შეიცავს, ესეც დიდ მტკიცებას არ მოითხოვს, თუ გავიხსენებთ ისეთ ძვირფას ძეგლებს, როგორიცაა „თქმულება ამირანზე", „ამბავი ტარიელისა", „ეთერიანი", „ლექსი მოყმისა და ვეფხვისა", „თაფარაშელი ჭაბუკი". ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს", „ასფურცელა" და მრავალი სხვა. ან ჩვენი სიმღერები: „ზამთარიო", „ჩაკრულო", „ლილე" „ხასანბეგურა" და სხვ... ან ჩვენი პლასტიური ხორაღები: „ზემყრელო" „მუშლი და მუხასაო", „ფარიკი", „დასტი", „სამაია", „ხორუმი" და მრავალი სხვა. ეს ისეთი ძეგლებია, რომელთა განვითარებასაც წერტილი არ დასმია, თუ გავითვალისწინებთ ხალხური შემოქმედების ცხოველმყოფელობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენი ხალხური შემოქმედება გადაშენების დაღმართზე იდგა. მას მზრუნველი და პატრონი არ გააჩნდა, გარდა თითო-ოროლა ჩამწერისა, რომელიც ცდილობდა დავიწყებისაგან გადაერჩინა ესა თუ ის ძეგლი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ხალხურ შემოქმედებას უდიდესი ყურადღება და განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში გამართული ოლიმპიადები, რადიო-გადაცემები, გუნდები, ექსპედიციები, გამომცემლობა და სხვ. დიდი სტიმულებია ხალხური შემოქმედების შემდგომი აყვავებისა და განვითარებისათვის.

ქართული ფოლკლორის შეგროვებისა და გამოცემისათვის

ხალხური შემოქმედების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების და ლიტერატურის განვითარებისა და მშრომელთა გაზრდილი კულტურულ მოთხოვნილებების [illegible].

ქართული ფოლკლორის შეგროვების, გამოცემის და პოპულარიზაციის ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა.

დამაკმაყოფილებელი არ იყო ახალ ხალხური ლექსების შეგროვების და დამუშავების საქმე. თითქმის მივიწყებული იყო მუსიკალური და ქორეოგრაფიული შემოქმედების ნიმუშების შეგროვება.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. ბიურომ 7 ოქტომბერს ამის გამო გამოიტანა სპეციალური დადგენილება რომელიც [illegible] პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებას ითვალისწინებს.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან უნდა ჩამოყალიბდეს ხალხური შემოქმედების კაბინეტი, რომელმაც უნდა შეაგროვოს, შეისწავლოს და გამოსცეს ქართული მუსიკალური, სახიერი და ქორეოგრაფიული ფოლკლორი, აგრეთვე დაეხმაროს მუშათა და კოლმეურნეთა თვითმოქმედებას.

უნივერსიტეტის რექტორს წინადადება მიეცა [illegible] შ. რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის, (ხალხური [illegible], მოსწრებული [illegible] და სხვ.).

რაიაღმასკომებმა და რაიკომებმა [illegible] ფოლკლორის მასალები უნდა [illegible] რუსთაველის ინსტიტუტს და ხელოვნების სამმართველოს, ამასთანავე გააძლიერონ მუშაობა ახალი მასალების შესაგროვებლად და [illegible].

[illegible] კომისია ამხ. [illegible] რომელმაც უნდა შეიმუშაოს ქართული ფოლკლორის გამოცემის გეგმა [illegible] ბიუროს [illegible] აგრეთვე [illegible] ფოლკლორის შესაგროვებლად და გამოსაცემად.

[illegible] „საუნჯის" [illegible] ხალხური შემოქმედების", რომელიც [illegible] „ფოლკლორი [illegible]".

რ. აკოფოვი

ფოტო-აპარატით გორში

სახლი ქალაქ გორში, სადაც დაიბადა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხანაგი სტალინი.

აშენებენ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შენობას. პირველი რიგის სამუშაოები უკვე დამთავრებულია.



სახ. ბანკის გორის განყოფილების შენობა ლენინის ქუჩაზე.



ახლად გაშენებული სკვერი შადრევანით ლენინის ქუჩაზე.



ახალი ხიდი მდინარე ლიახვზე გორთან.

ჩვენი გაზეთებიდან

სახლი 10 დღეში ააგეს

მოსკოვში, დროვიანოს მოედანზე 10 დღის განმავლობაში ააგეს ერთ სართულიანი სახლი ასი მდგმურისათვის. ამ სახლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის აგებულია ქარხანაში დამზადებული ბეტონის ბლოკებისაგან. იატაკი და საფარველიც შედგენილია მზა ფარებისაგან.

სახლს აქვს ცენტრალური გათბობა, წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროგანათება. სახლი გათვალისწინებულია მშენებელი მუშებისათვის.

ამ სახლს კიდევ ერთი თავისებურება აქვს: საჭიროების შემთხვევაში ის შეიძლება დაიშალოს, ნაწილ-ნაწილ გადატანილ იქნას სხვა ადგილას და კვლავ რამდენიმე დღეში აშენდეს. ამგვარად მშენებლებს მუდმივი მშენებლობის დამთავრების შემდეგ გადაჰყავთ ახალ ობიექტებზე თავიანთი საერთო საცხოვრებლით.

ეს საცდელი სახლი ააგო სახლების მშენებლობის მოსკოვის ტრესტმა. ცდამ სავსებით გაამართლა თავისი-თავი. ტრესტი კიდევ ააგებს გაუმჯობესებული ტიპის ორ ასეთ სახლს. ამ სახლებისათვის აპროექტებენ მოსაკრებ-დასაშლელ საქვაბეს.

ტრესტი ამჟამად ადგენს ორსართულიან ბლოკ-შენობების პროექტებს, რომლებიც გათვალისწინებულია ბავშვთა ბაგებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებებისათვის. გარდა ამისა, აპროექტებენ გარაჟს 200 მანქანისათვის. მზა ბლოკებისაგან შესაკრები შენობები ძლიერ სწრაფად შენდება.

(„პრავდა")

○

შაქრის საბავშვო ქარხანა

ვინიცაში, ჩირნიავსკის სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლესთან მთავრდება საბჭოთა კავშირში პირველი მინიატურული საბავშვო შაქრის ქარხნის მშენებლობა. პატარა შენობაში, რომლის სიგრძე 11 მეტრია, ხოლო სიგანე 6 მეტრი, ამჟამად სწარმოებს სამონტაჟო სამუშაოები, დადგმულია აპარატურა, იქმნება ლაბორატორია ნაწარმის ანალიზისათვის. წარმოების თითქმის ყველა პროცესი მექანიზებული იქნება.

ქარხნის მომსახურება, რომელიც მოქმედებას დაიწყებს 25 ნოემბერს, შეეძლება პიონერებს—უფროსი კლასების მოწაფეებს, 8 საათის მუშაობით ქარხანა დაამზადებს 8 კილო შაქრის ფხვნილს.

(„იზვესტია")

○

ამბავი ბარსელონიდან

ბარსელონის (ესპანეთი) ესპერანტისტ-მუშკორთა ჯგუფი ფაშისტურ ამბოხებამდე აქტიურად თანამშრომლობდა „პრავდა სევერაში". 28 ოქტომბერს „პრავდა სევერამ" ამბოხების შემდეგ პირველად მიიღო კორესპონდენცია ბარსელონიდან — მუშკორთა ბიულეტენი „ერთობა". ბიულეტენში მოთავსებული სტატიები ლაპარაკობენ იმ ბრძოლებზე, რომლებსაც თავგანწირვით აწარმოებს ესპანეთის გმირი ხალხი მეამბოხეთა წინააღმდეგ.

ბარსელონელი ამხანაგები თხოულობენ წერილებისა და ფოტოსურათების გაგზავნას სახალხო მილიციის დაჭრილ მებრძოლთათვის, რომლებიც საავადმყოფოებში იმყოფებიან.

„პრავდა სევერა"

◇

სასამართლო

გამფლანგველთა გასამართლება

გუშინ, დილის 10 საათზე უზენაესი სასამართლოს დიდ დარბაზში დაიწყო საქართველოს რემდასის (ც. კ-ს) ყოფილი [illegible] კორნელი ბოძაშვილისა და მთავარი ბუხჰალტრის (იგივე მოლარე) ვასილ კახიძის საქმის გარჩევა. როგორც ვწერდით (იხ. „კომუნისტის" 9 მაისისა და 18 ნოემბრის ნომრები), ბოძაშვილმა და კახიძემ რემდასის 45 ათასი მანეთი მიითვისეს და გაფლანგეს.

— ბრალდებულო კახიძე, თქვენ ბრალი გედებათ რემდასის 36 ათასი მანეთის გაფლანგვაში, სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ? — სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. კალანდაძე საბრალდებლო დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ ბრალდებულ კახიძის დაკითხვაზე გადადის.

კახიძემ ამ თანხაზე ჯერ ცივი უარი დაარტყა, ყველაფერი ბოძაშვილს დააბრალა, მაგრამ დაკითხვის ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობებში ვარდებოდა.

თავის მართლების უსაფუძვლობა იქვე საქმეში ჩაკერებული მასალებით მტკიცდება. ირკვევა, თუ რა ქაოსი და არეულობა ყოფილა რემდასის ბუხჰალტერიაში...

ბოძაშვილიც კახიძესავით არ არსებულ საბუთებს და პირებს იმოწმებს...

მეურნეობაში [illegible], ფულის ქისისა, ტომის მიღება — გაცემასთან, უწესრიგობასთან და არეულობასთან ერთად გამოირკვა ისიც, რომ რემდასის ხელმძღვანელები ყოფილი მებრძოლთა დასახმარებლად რემდასში შემოსულ შემოწირულებასა და სიურპრიზებსაც ითვისებდნენ. მაგალითად, ოფიციალურად გამოგზავნილი 5.000 ცალი პაპიროსის ნახევარი თვით ბოძაშვილმა მოსწია..

პარტიაში შემპარული ბოძაშვილი ყალბი საბუთების ოსტატიც ყოფილა.

სასამართლოს შემდეგი სხდომა გაიმართება 25 ნოემბერს დილით.

მერი ბურდული.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი—„მარშალი ბავშვობისას", მეორე მოქმედების მეოთხე სურათი, დადგმა ბ. გამრეკელისა, მხატვარი — ვ. ვოლჩინსკი.

ხელოვნება

„მარშალი ბავშვობისას"—მოზარდ-მაყურებელთა თეატრის ახალი დადგმა

თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა მიმდინარე სეზონის პირველ პრემიერად გვიჩვენა ი. ვსევოლოჟსკის პიესა „მარშალი ბავშვობისას". პიესა დაწერილია ამხ. ბუდიონის ბიოგრაფიის საფუძველზე და გვიჩვენებს გამოჩენილი პროლეტარული სარდლის ახალგაზრდობის წლებს, როდესაც ის ლუკმა-პურის გულისთვის იძულებული იყო მოჯამაგირედ დასდგომოდა სოფლის წურბელას და ეტანა მისგან ათასი დამცირება და ტანჯვა.

„მარშალი ბავშვობისას" შეტანილია საბჭოთა კავშირის მთელი რიგი საბავშვო თეატრების რეპერტუარში, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა პირველმა განახორციელა ი. ვსევოლოჟსკის პიესა.

უბრალოება, სიცხადე და სიმართლე—აუცილებელი პირობაა საბავშვო თეატრის მუშაობაში. რეჟისორმა ბ. გამრეკელმა კარგად გაითვალისწინა ეს გარემოება. დადგმა გაშლილია მკაფიო რეალისტურ ხაზებში. სპექტაკლი გამოვიდა ხალისიანი, გარეგნულად მომხიბვლელი და ემოციურად ძლიერი.

ლამაზია სპექტაკლის მხატვრული გაფორმება, რომელიც მხატვარ ვ. ვოლჩინსკის ეკუთვნის.

მოზარდ მაყურებელთა თეატრს ბევრი ნიჭიერი მსახიობი ჰყავს. ისინი დიდი წარმატებით ასრულებენ დრამატურგისა და დამდგმელის ყველა რთულ ამოცანას. მაყურებლის წინაშე ცოცხალი და მკაფიო ტიპების მთელი გალერეაა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მსახიობი თამარ თვალიაშვილი, რომელიც სიომას თამაშობს. მისი გადმოცემით სიომა ნამდვილი მებრძოლი ბავშვია, ბავშვის მიხვრა-მოხვრით, ცეკვით, ინტონაციებით.

დიდი ტაქტით და ზომიერების გრძნობით ითამაშეს თავიანთი როლები ა. ყასაშვილმა (გრიშინოვი), გ. აბაშიძემ (ვასილ კოროვინი), თ. ლოლაძემ (მალანია), რესპუბლიკის დამს. არტისტმა ნ. გვარამაძემ (სტეფანიდა ატამანი), ვ. არეშიძემ (მიხეილ ივაგი).

რეჟისორი ბ. გამრეკელის, რომელსაც ამავე დროს ეკუთვნის პიესის თარგმანიც, განზრახვა იყო მიეტანა მაყურებლამდე ძველი სოფლის კლასობრივად დაყოფა, ღარიბთა უმწეობა, ექსპლოატაცია მდიდარი კაზაკების მიერ, მეფის ჟანდარმების თვითნებობა და ძალადობა. კარგად არის ხაზგასმული სპექტაკლში ირონია უარყოფითი ტიპების მიმართ. ამიტომ, მიუხედავად ყველა დრამატული მომენტისა, რომელიც პიესის სიუჟეტიდან გამომდინარეობს, სპექტაკლში ბევრია სიხალისე და სიმხიარულე.

ნორჩი მაყურებლები სტოვებენ თეატრს სავსე მხატვრული შთაბეჭდილებით, კმაყოფილები.

შ. ქ.

◇

პატარა ფელეტონი

ასე არ არის, სილოვანჯან!

„სალამი კლარა!

გავიგე ძალიან [illegible], მაგრამ მე ვერ გიხსნი. ხო იცი (წერილის სტილს და მართლწერას უცვლელად ვტოვებთ გ. შ.) პარტიული დავალება ყველა კომუნისტმა უნდა შეასრულოს და ეს არის მთავარი ობიექტი (!) ჩემი ჩამოუსვლელობისა. კლარაჯან! მე მიყვარს პარტია. ამავე დროს მისი სინდისიერად სამსახური, ყველას, ვინც პარტიას და სოციალიზმს ხელს უშლის, მე ვებრძვი საბჭოთა კლასობრივ მტრებს და არასოდეს არ დავინდობ... ეს სხვანაირად არ გაიგო მაგრამ ასე კი არის"...

აქ კლარამ შეაჩერა წერილის კითხვა და ფიქრებს მიეცა.

— ვარ მე კლასობრივი მტერი? რითი ვუშლი ხელს სოციალიზმს? — დაუწყო თავის თავს შემოწმება კომკავშირელმა კლარა ბერიძემ, მაგრამ საამისო ვერაფერი მოიგონა, და განაგრძო კითხვა:

„სხვა, ქალბატონო, კლარა! ვიცი ძალიან გულმოსული იქნები. შეიძლება კიდევ დამიწერონ სილოვანს და სოფლიდან არასწორი განცხადება პროკურატურისათვის იმ კლასობრივად უცხო ადამიანებმა, რომლებიც აუცილებლად ხელს უშლის თვითეულ კომუნისტს სოციალისტური ქვეყნის აშენებაში... მაგრამ რისი კომუნისტი ვარ თუ მათ არ გავუმკლავდე...

...მე ვიბრძვი იმისათვის, რომ არც ერთი წუთით არ დავტოვო უყურადღებოდ პარტიის დავალება".

კლარა ისევ ფიქრებს მიეცა. თვალწინ დაუდგა სილოვან ვასაძის მრისხანე სახე. სილოვანი მომართული რევოლვერით [illegible] შარა-გზაზე. მოაგონდა მისი სიტყვები:

„არც პარტია მინდა, არც თავი ცოცხალი, ცოლად თუ არ გამომყევი". შემდეგ სადგურ მერისთან ეტლით დაჭერა შეუძლებლად. შემდეგ — ბათომი, სადაც მისი, როგორც კომკავშირელის, პირადი საქმეები ირჩეოდა. ბათომშიაც რომ ჩასულა „პარტიის საქმისათვის" ამ „თავდადებულმა გმირმა". როგორ წაართვა მან მანდატი. შემდეგ როგორ გააქროლა იგი ქალაქიდან სოფლისკენ. როგორ აიძულა გაჰყოლოდა ცოლად მას, როგორც ცოლისა და მისი ბედის გარისკვაზე დაბადებული.

— მაშინ რატომ არ ახსოვდა პარტიის დავალება? — წაილუღლუღა თავისთვის კლარამ და განაგრძო წერილის კითხვა.

„მე მაშინ კომუნისტი არ ვიქნები თუ არ ვიქნები მკაცრი (?) ზოგიერთი იმის მიმართ (!) პარტიის ხაზს გადაუხვევიან (მაგალითად, თქვენ.) მაგრამ პირიქით, კლარაჯან! მე ცოლს კი არა ჩემს რეზინკასაც და ყველაფერს პარტიას შევსწირავ"...

უშველეთ სილოვანს, ხალხო არა ხართ? კლასობრივი მტრების გარემოცვაშია. გამოკითხეთ, გაიგეთ მაინც რაშია საქმე.

საქმე იმაშია, რომ სილოვან ვასაძეს, იმ ხანებში საკმაოდ პასუხსაგებ პოსტზე მდგომს (მახარაძის მტს-ის სამხედრო ნაწილის გამგეს), საკმაოდ [illegible], ერთი წუთია ცოლშეყრილი სოფელ ხვარბეთში ჰყავდა, ეს არ ეყოფოდა რიგით მოქარით და მოტყუებით „ხელში ჩაიგდო" სოფელ ეკადიის კოლმეურნეობის მოწინავე კომკავშირელი კლარა ბერიძე, როცა საწადელს მიაღწია, ისევ პირველ ოჯახს დაუბრუნდა.

კლარას საქმე შვილი უნდა შეეძინა. კლარა, როგორც მოწინავე ქალი, თავის უფლებებს ეძებს სასამართლო ორგანოების საშუალებით. მისი ეს ნაბიჯი სილოვანს კლასობრივი მტრის გამოლაშქრებად მიაჩნია!

სილოვანი ავერ „სოციალიზმს აშენებს", ხოლო კლარას წამოუხსნია მეცვლი და პროკურატურაში იბარებს! სად სცალია სილოვანს ამისთანა წვრილმანებისათვის?

„ცოლს კი არა ჩემს შვილს რეზინკასაც პარტიას შევსწირავო" — ბაქიბუქობს სილოვანი.

„კლარაჯან! მშვიდობით იყავი ცოცხალი კიდევ ამ მდგომარეობაში!" — ათავებს წერილს სილოვანი.

სილოვანჯან, ასე როდია საქმე! ის კომუნისტი არ არის, ვინც საბჭოთა ოჯახის სიწმინდეს არ იცავს. იგი არ არის კომუნისტი, ვინც თავშეუკავებელ, ამორალურ ცხოვრებას ეწევა.

შენისთანას კი ეწოდება თავაშვებული წვრილი ბურჟუა, წარამარტა, რომლისთვისაც, მოგეხსენებათ, პარტიის კარები დაკეტილია. ვინც პარტიის ჩირქს ცხებს, მას პარტიის რიგებში ვინ დატოვებს!

ასეა, სილოვანჯან!

გერმან შუბიძე.

უკანასკნელი ფოსტა

დათვური სამსახური

გაზეთმა „მუშამ" [illegible] დაიწყო ილია ჭავჭავაძის აფორიზმებისა და რჩეული აზრების ბეჭდვა.

ეს ფრიად მისაწონი და მისასალმებელი საქმეა, მით უმეტეს, რომ „მუშას" განზრახული ჰქონია „ბევრი მკითხველი რომელიც ჭავჭავაძეს არ იცნობს, ამგვარად ამოკრეფილი აზრების წაკითხვით" დაუახლოვოს ჭავჭავაძეს.

მაგრამ რამდენადაც განზრახვა კარგია, იმდენად მისი შესრულება უხეიროდ მოხდა.

ილიას როგორი „აფორიზმები და რჩეული აზრები" შეარჩია და შესთავაზა მკითხველებს გაზეთმა?

აი მაგალითად:

„ვეფხის ტყაოსანი" არის უკვდავი არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგანი ღირსებებით".

„სანტიმენტალური მიმართულება არავისთვის არ არის საჭირო და, სხვათა შორის, ჩვენთვისაც".

„უნიჭო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას". („მუშა", № 268).

ვინც ილია ჭავჭავაძეს კარგად იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ზემომოყვანილი გამოთქმები არ ეკუთვნის ილიას რჩეულ აზრებს და არც დამახასიათებელია მისთვის, ხოლო ნამდვილ აფორიზმთან მას არაფერი აქვს საერთო.

თუ ამხანაგებს „მუშიდან" ილია კარგად წაუკითხავთ, დაგვეთანხმებიან, რომ მის ნაწერებში მართლაც უამრავია მისთვის დამახასიათებელი, ილიასებური რჩეული აზრები და გამოთქმები, ხელიხელ საგოგმანებელი მარგალიტები, და სწორედ მათი მოყვანით უნდა დაეწყო „მუშას".

ცხადია, ამ პირველი ნაბიჯით „მუშამ" დათვური სამსახური გაუწია ილიას. მაგრამ რადგან გაზეთს განზრახული აქვს ეს წამოწყება გააგრძელოს, მან ამთავითვე უნდა გამოასწოროს შეცდომა, თორემ „მუშას" თანამშრომლებსაც და ილიას ამ აზრების ამომკრებ ვარლამ ზეროძესაც ალბათ კარგად მოეხსენებათ ილიას საყვარელი ანდაზა: „[illegible]".

◇

შავი ზღვის სანაპიროებზე აცივდა

ბათომი, 22 ნოემბერი (საქტასი). აჭარის შავიზღვის სანაპიროებზე ამინდი მკვეთრად შეიცვალა. თბილი მზიანი დღეები შეცვალა მოღრუბლულმა, წვიმიანმა ამინდმა. მესამე დღეა განუწყვეტლივ წვიმს. ზღვის ღელვა 3 ბალამდე აღწევს. ჰაერის ტემპერატურა დაეცა + 12 გრადუსამდე ცელსიუსით.

◇

ახალი ამბები

#**სსრ კავშირის** სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის დადგენილებით, საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელიც უნდა გამართულიყო დეკემბერში, გადატანილია 1937 წლისათვის.

#**რუსთაველის თეატრმა** სამუშაოდ მოიწვია ცნობილი მსახიობი მ. ღლონტი, რომელიც უკვე შეუდგა შემოქმედებით მუშაობას. ამხ. ღლონტი „ოტელოში" შეასრულებს იაგოს როლს. „ოტელო" დაიდგმება მიმდინარე სეზონში.

#**სოფელ ძველ გურჯაანში** აშენებენ სრული საშუალო სკოლის სამსართულიან შენობას 880 მოწაფისათვის. ეს იქნება ყველაზე დიდი სასკოლო შენობა მთელ კახეთში. სკოლაში მეცადინეობა მომავალი სასწავლო წლიდან დაიწყება.

#**დასავლეთ საქართველოს** სუბტროპიკული რაიონებიდან ყოველდღე იგზავნება 30 ვაგონი ციტრუსი. 19 ნოემბრისათვის გაგზავნილია 8.100 ათასი ცალი. მანდარინის გეგმა დეკემბრის დამლევისათვის უნდა დამთავრდეს.

#**ალგეთ-მანგლისის,** საგარეჯოს, დუშეთისა და თელავის რაიონებში ამ წლის დასაწყისიდან ნოემბრამდე მონადირეებმა ათასზე მეტი მგელი მოკლეს.

#**1936 წლის იანვრისათვის** თბილისის ზოოპარკს ჰყავდა 805 სხვადასხვა ცხოველი, ამჟამად ჰყავს 1517. დეკემბრის განმავლობაში ზოოპარკი მიიღებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში შეძენილ 32 ცხოველს.

#**საქპურტრესტი აგებს** საბავშვო ბაგის შენობას ორჯონიკიძის ქუჩაზე № 25. შენობის ასაგები ნაკვეთი გამოყოფილია.

◇

„ცხვრის წყარო" ესპანეთის ქალთა და ბავშვთა სასარგებლოდ

25 ნოემბერს სრულდება 14 წელი, რაც ქართულ სცენაზე პირველად დაიდგა ესპანელი დრამატურგის ლოპე-დე-ვეგას პიესა „ცხვრის წყარო".

ამ დღის აღსანიშნავად მარჯანიშვილის თეატრში მიდის „ცხვრის წყარო", რომლის მთელი შემოსავალი გადაირიცხება ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დახმარების ფონდში.

რ. აკოფოვი

ფოტო-აპარატით გორში

გორის საკოლმეურნეო ბაზარი. ზემოთ გორის ძველი ციხის ნანგრევები.

ამხანაგ სტალინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის ახალი შენობა

ხმოვანი კინოს ახალი შენობა ლენინის ქუჩაზე

ახალი სასტუმროს ფასადი ლენინის ქუჩიდან

ახალი სასტუმროს ფასადი ახლად გაყვანილი ქუჩიდან

ქ. ჯავრიშვილი

ყელის ზეგანი

საქართველოს გეოლოგიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი გერმან აბიხი ყელის პლატოს „საქართველოს ოვერნს" უწოდებს.

მართლაც, მდ. ქსნის სათავეში თითქმის 3.000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ზეგანი — თავისი ლანდშაფტით, ვულკანებითა და ტბებით საფრანგეთის ოვერნს მოგვაგონებს.

„საქართველოს ოვერნის" შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ გერმან აბიხის მწირი ცნობები, აკადემიკოს ლევინსონ-ლესინგის საკმაოდ დეტალური პეტროგრაფიული აღწერილობა, „სარატოვის ქალთა გიმნაზიის მასწავლებლის" ვინმე დინნიკის ყოველმხრივი, მაგრამ საკმაოდ წყალწყალა შრომა და კიდევ რამდენიმე ცნობა, აქა-იქ გაბნეული სხვადასხვა შრომასა და პერიოდულ გამოცემაში.

ყელის პლატო ერთ-ერთი უშესანიშნავესი ადგილია საქართველოში. აქედან გამოდის ქსანი, ლიახვი და მთიულეთის არაგვი. სულ ასიოდე კვადრატული კილომეტრის ფართობზე გაბნეულია ოცდაათამდე ტბა.

აქვეა რამდენიმე სულ ახალგაზრდა ვულკანი. ყელის პლატო წარმოადგენს კლასიკურ ადგილს მყინვარული მოვლენების შესასწავლად, იმდენად ნათელი და წარუშლელი კვალი დასტოვეს აქ მყინვარებმა. შესანიშნავია თვით ყელის ტბაც — ერთი ულამაზესთაგანი საქართველოს ტბებს შორის.

ჩვენი ექსპედიციის ბარგი დავდგით პატარა ნახევარკუნძულზე იმ ადგილას, საიდანაც იბადება ქსანი. პირველ დღეებში (ჩვენ ამოვედით 25 აგვისტოს) ძალიან ცივი, საშინელი ქარი ქროდა, ტბა ღელავდა, დილას რთვილი მოდიოდა. [illegible] და დადგა სექტემბერი, ცამ ყველაფერი მიწყნარდა, დამშვიდდა, ქარი ჩადგა, ტბამ ლურჯი გადაიცვა და ყელის პლატომაც სახე იცვალა.

დილაადრიან ფოტო-აპარატებით, ბარომეტრით, სამთო კომპასებით და ჩაქუჩებით შეიარაღებულნი გავდიოდით „სანადიროდ". გვიან საღამოს კარავში მოგვქონდა სხვადასხვა მხრიდან „ნადავლი": ქანების ნიმუშები, შლიფები, ჩანახაზები, ჩანახატები და გადაღებული ფირფიტები. ყელის პლატოს ტბები ჯერ არავის აუწერია. ვულკანები ზოგი აღნიშნულია რუკაზე. ახლა ავიღეთ ქვების ნიმუშები, ავწერეთ მთლიანად.

ზეგანი პირველი შეხედვით უდაბურად მოგვეჩვენა, მისი დასავლეთი ნაწილის საძოვრები (იქ ზემოხსენებული ცხვარი სძოვდა) დაცარიელებული დავინახეთ. უკანასკნელი ცხვარი რამდენიმე დღეში გაიკრიფა და მხოლოდ ხანდახან დილაადრიან გვესალმებოდა შემხვედრი ლიახვის სათავეებიდან არაგვისაკენ ბილიკით მიმავალი მგზავრისა.

მცენარეულით მდიდარი სათავეები ლიახვისა და ქსნისა აქედან არა ჩანს. სამაგიეროდ, ახლოს თუ არა რომელიმე ამაღლებულ პუნქტზე, ჩრდილოეთით იშლება ლოდებიანი მწვერვალებისა და უდაბური ქედების სურათი, ხოლო სამხრეთით ბურუსის ზღვაში ჩაძირული ქედებისა და მწვერვალების ხაზები.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც უკვე საკმაოდ გავეცანით ყელის პლატოს, თავი აიწყვეს მკვიდრმა „მცხოვრებლებმა": შევიტყვეთ მგლებს, სულ ზევით შეგვხვდა საკმაოდ დამაფიქრებელი ნაკვალევი, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია. ნაკვალევი დიდი კატისას ჰგავდა და, შეიძლება იგი აფთარის დატოვებულია. ერთხელ ჩვენმა ჯგუფმა ნარვან-ხოხზე ასვლის დროს შეხვდა ფსიტების (არჩვების) ძოვილი ჯოგი (10-15 ინდივიდი). ყელის პლატო საკმაოდ „დასახლებული" აღმოჩნდა.

ქედებისა და ვულკანური კონუსების კალთებზე ხშირად შერჩენილი იყო მარადიული თოვლის ნაფლეთები. ერთ-ერთი ექსკურსიის დროს ქსნის სათავეში (ამ წელიწადის, ალბათ, მისი დაღარული და წითლო გამომეტყველების გამო, ყვავილს უწოდებენ) შორიდან დავინახეთ მთის კალთებზე ვარდისფერი ნაფლეთი თოვლისა; ახლო თოვლი ისეთი ვარდისფერი აღარ აღმოჩნდა. წითლად და ყვითლად შეღებვა თოვლისა გამოწვეულია მიკროსკოპული წყალმცენარის „სფეროლა ნივალისის" კოლონიებით. ეს პატარა მცენარე ძალიან ჩქარა მრავლდება, ჰფარავს ათეულ კვადრატულ მეტრს და წითლად ღებავს მათ. ასე წარმოიშვება „წითელი თოვლი".

ყელის პლატოს სრულ კონტრასტს წარმოადგენენ ქსნისა და ლიახვის სათავეები. აქ მდიდარი მცენარეულობაა, განსაკუთრებით კარგია საძოვრები. ლიახვის ერთ-ერთი შენაკადის, ერმანის—წყალის სათავეში — სოფ. ზემო ერმანთან მოულოდნელად აღმოვაჩინეთ საინტერესო „მეზობელი". ჯერ კიდევ შორიდან, არხის ქედის უღელტეხილიდან ჩამოსვლის შემდეგ ქვევით სოფ. ზემო-ერმანთან, ერმანის-წყლის მარცხენა ნაპირზე არყის ტყესთან მოჩანდა სამი თეთრი კარავი. ეს კარვები თურმე ეკუთვნოდა ცნობილ რუს ბოტანიკოსს, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ნიკოლოზ ადოლფის-ძე ბუშს.

ჩვენ მორიდებით მივასლოვდით კავკასიის ფლორის გამოჩენილი მკვლევარის ბანაკს. ბანაკი შორიდან ცარიელი ჩანდა. ერთ-ერთი კარვიდან გამოვიდა ახალგაზრდა ბალყარელი. იქვე კარვებს შორის უბრალო ფიცრებისაგან შეკრული მაგიდის უკან პატრიარქალური წვერებით მოხუცი. ჩვენ გავეცანით. მოხუცი გულთბილად შეგვხვდა და უმალვე დაიწყო ბაასი ექსპედიციის მიზნებისა და მუშაობის შესახებ.

ექსპედიციის დანარჩენი წევრები სამუშაოდ იყვნენ წასულნი. ბანაკში მხოლოდ თითონ ბუში და ბალყარელი თილუფი დარჩენილიყვნენ. ორმოცზე მეტი წელია, რაც ნიკოლოზ ბუში იკვლევს ცენტრალური კავკასიონის მცენარეულობას. აკადემიკოს ბუშს იცნობენ ყაბარდო-ბალყარეთში და ჩრდილოეთში, სვანეთსა და ხევსურეთში. უკანასკნელი ექვსი წელი ბუშმა მიანდომა სამხრეთ-ოსეთის მცენარეული საფარის შესწავლას. მან უკვე გამოაქვეყნა რამდენიმე შრომა ოსეთის მცენარეებზე. ახლანდელი მისი მუშაობის მიზანია სამხრეთ-ოსეთის საძოვრების შესწავლა. ამ მიზნით სოფ. ერმანთან შენდება სამთო საველე სადგური, რომელიც ზამთარ-ზაფხულ დაკვირვებებს მოაწყობს საძოვრების რეჟიმზე.

მალე აცივდება და ექსპედიცია ჩქარობს დაამთავროს სადგურის შენობა და შემოღობვის სანერგე. დღის ყველანი გასული არიან ამ სამუშაოზე. სადილობისას ვეცნობით ექსპედიციის დანარჩენ წევრებს: ელისაბედ ბუშს აკადემიკოსის მეუღლეს, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მასთან ერთად მუშაობს, მათ ახალგაზრდა ასისტენტ ქალს და ლენინგრადის უნივერსიტეტის მეხუთე კურსის ორ სტუდენტს. ერთი მათგანი ჩვენი თანამემამულე-გიორგი კვარაცხელია აღმოჩნდა.

მეორე დილას დავტოვეთ სტუმართმოყვარე აკადემიკოსის ბანაკი და პირქუშ ყელის პლატოს აღმართს შევუდექით. ზემო ერმანის თავზე შორიდან მოჩანს ყვითლად შეღებილი მარცხენა ნაპირი. აქ გამოდის რკინოვანი მინერალური წყარო. ეს წყარო ძალიან გაზიანია, და შიგ ბევრი რკინაა. წყალში ჩადებული მცენარე რამდენიმე დღეში იფარება ჟანგის სქელი შრით. ერმანის მინერალური წყალი ჯერ არ არის ცნობილი; სულ რამდენიმე დღის წინათ აქ ყოფილა ქიმიკოსი კუპატაძე, საქართველოს მინერალური წყაროების ცნობილი სპეციალისტი. ერმანის წყარო ერთ-ერთია ყელის პლატოს გარშემო შერჩილ მინერალურ წყლებს შორის.

ყელის პლატო ვულკანური წარმოშობისაა. დედამიწის სიღრმიდან ამოხეთქილმა ლავებმა ჰფარეს აქ მთელი ეს პლატო და ვულკანური კონუსები. დიდიხანია ჩაქრნენ ვულკანები, მაგრამ დედამიწის სიღრმეში ჯერ კიდევ ღვივის ვულკანური ძალა და აი იმის ძლიერი ვულკანური ძალების შედეგია რკალი მინერალური წყლებისა, რომელიც გარს აკრავს ყელის ტბას.

მხოლოდ ოციოდე დღე დავყავით ჩვენ ყელის პლატოზე, ოციოდე დღე მოვანდომეთ მის გაცნობას და აღწერას. ერთ მზიან დღეს ავედით მწვერვალ ლაღ-წითზე. ეს მწვერვალი ყელის პლატოზე ასვლის პირველივე დღიდან მოსვენებას არ გვაძლევდა. საიდანაც არ გაიხედავდი, მისი პირამიდა მოჩანდა. მწვერვალი სულ 3800 მეტრის სიმაღლისაა. ჩრდილოეთით იშვიათად ლამაზი მყინვარები ჩანს, წვერზე დგას განსვენებული გიტო ჯორჯაძის მიერ აგებული ქვის ტური (პირამიდა). აქედან გადაიშალა იშვიათი სანახაობა: ჩრდილოეთით — თოვლიანი კონუსები: მყინვარ-წვერი, ჯიმარაი—ხოხი და სუათისა — ხოხი; ჩრდილო დასავლეთისაკენ—ადაი-ხოხის ჯგუფი, წიფის მყინვარი და უფრო შორს, ბერუსში, სვანეთის მწვერვალები და ქედები; სამხრეთით მთების ზღვა, რომლიდანაც სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ამოწვდილია იშვიათი სილამაზის ტბული და ამული (ესენი უკვე ხევსურეთში არიან). გარშემო დაუსრულებელი და უსაზღვრო ზღვა, ქედებისა, მწვერვალებისა და მყინვარებისა. მათ შორის ყელის პლატო პატარა ნაწილაკია, შეუმჩნეველი და უმნიშვნელო.

ორ დღეში ვერ ამოვწურეთ ამ „უმნიშვნელო ნაწილაკის" ყველა „საიდუმლოება". მოვდიოდით მწვერვალიდან და ვფიქრობდით—რამდენად მდიდარი და მრავალფეროვანია ჩვენი ქვეყანა, რამდენი შრომისა და ენერგიის დახარჯვაა კიდევ საჭირო მის შესასწავლად.

წელს ათეული ჩვენისთანა ჯგუფი იყო გასული მთებში სამუშაოდ. ყველა მათგანი მოიტანს ქალაქში რამე ახალს, ჯერ უცნობს, ასე თანდათან შეიქმნება კონტურები საქართველოს გეოლოგიური რუკისა, ასე თანდათანობით ახალი ადამიანის შრომით გაცხადდება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მრავალფეროვანი წიაღის საიდუმლოებანი.

◆

შემთხვევები

#**ბოროტმოქმედის შეპყრობა.** ქალაქის მილიციის მე-5 განყოფილებამ შეიპყრო თბილისში არალეგალურად მცხოვრები ი. ნ. რუსიტაშვილი. 1935 წელს მას ბოროტმოქმედებისათვის მისჯილი ჰქონდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ რამდენიმე თვის წინათ გაიქცა შრომა-გასწორების ბანაკიდან. გაქცევის შემდეგ რუსიტაშვილი იმალებოდა თბილისში და სიღნაღის მთის რაიონში მოახდინა ორი შეიარაღებული ძარცვა. გარდა ამისა, რუსიტაშვილს ბრალი ედება ქალის გაუპატიურებაში. დაპატიმრებისას ბოროტმოქმედს აღმოაჩნდა ნაგანის სისტემის რევოლვერი. გამოძიება სწარმოებს.

#**ავარია.** სწრაფად მიმავალი № 1 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი ჩელუსკინელთა და ორჯონიკიძის ქუჩების კუთხეში დაეჯახა ფურგონს. ავარიის შედეგად მძიმედ დაშავდა მეფურგონე ა. ა. მარტიროსოვი, რომელიც მოათავსეს საავადმყოფოში. ვატმანი გ. ბ. ბარდანაშვილი შეიპყრეს.

#**ავტომანქანის მსხვერპლი.** ლენინის ქუჩაზე სატვირთო ავტომანქანა №23—57 (შოფერი გ. ო. ხალვაშიანი) დაეჯახა სოფ. [illegible] (დუშეთის რაიონი) მცხოვრებ მოქ. გ. ჯუბაოშვილს და მძიმედ დაშავებული საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

◇

პარტკალენდარი

— **კიროვის პარტრაიკომი იუწყება,** რომ 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, გრიბოედოვის თეატრის შენობაში (კომინტერნის ქ. 5) მოწვეულია რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. დღის წესრიგშია: **საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მე-8 პლენუმის შედეგები.** შესვლა რაიკომის მიერ გაცემული სპეციალური მოსაწვევი ბარათებით.

— **26 კომუნარის რაიკომი იუწყება,** რომ 26 ნოემბერს საღამოს სრულ 7 საათზე რაიკომის სხდომების დარბაზში გაიმართება რაიონული პარტაქტივის კრება, დღის წესრიგშია: **საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგები.**

— **საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომი** აცხადებს, რომ ახალი ნიმუშის პარტბილეთი № 1514319, გაცემული ზუგდიდის პარტრაიკომის მიერ ბაგრატ [illegible]-ძე [illegible] სახელზე და ახალი ნიმუშის პარტბილეთი 1514320, გაცემული ზუგდიდის პარტრაიკომის მიერ ბიქტორ [illegible]-ძე [illegible] სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

24-XI	შემოდგომის აზნაურები
26-XI	არსენა

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

24-XI წარ. № 41	ნინოშვილის გურია
27-XI წარ. № 42	ცხვრის წყარო

სახცირკი
ტელ. 3-11-44
ჩამოვიდნენ საცირკო ხელოვნების საუკეთ. ოსტატები.

დღეს 24 ნოემბერს სამი დიდი წარმოდგენა ორი დღ. ხ. — პირველის დასაწყისი 12 ს., მეორისა — 2 ს. და საღამოს — დასაწყ. 8 ს. 30 წ. სამივე წარმოდგენაში მონაწილეობს მსროლელი-ბუქარა მ. ზოლლო თავისი ოთხფეხა არტისტებით. სალარო დილის 10 ს-დან დასრულებამდე.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11	ახალი ხმოვანი ფილმი შემთხვევითი შეხვედრა
დამკვრელი 1-4 ს. 8 45, 10-45	ახალი დიდი ხმოვ. ფილმი გამარჯვებულთა ჩემპიონობა
კომკავშირელი 6,7 40,9-20,11	მე-2 სერია ხმ. სურათი მტრის ზურგში
რ. ლუქსემბურგის სახ. 5, 7, 9, 11	ფერადი ხმ. ფილმი გრუნია კორნაკოვა (სოლოვეი სოლოვუშკო)
26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი კარლ ბრუნერი
ახალი ამბები	ესპანეთის ამბები მე-4, მე-5, მე-6 გამოშვება, საბჭ. საქართველო № 7.

მისამართები: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16 გამომცემლობის—რუსთაველის პროსპექტი № 34 ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40, მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ს. თოიძის სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ვ — 8551